ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 მაისი, 2021 №88 (8617) ფასი: 60 თეთრი

სუსმა იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსანი მერაბ ხურციძე დააკავა

გვ.5

„კახიშვილი ღარიბაშვილთან მიდის“



„ოცნება“ მდინარაძე, კობახიძე და მათნაირი პოლიტიკურად უწარსულო ხალხისთვის არ აგვირჩევია“

ლადო სადღობელაშვილი: „სააკაშვილსაც კი არ ჰყავდა ამ დონემდე დამონებული სასამართლო, როგორც დღეს კობახიძე-მდინარაძეს ჰყავს დამონებული“

გვ.2



გვ.3

„პოროშენკოს შეხვდა ივანიშვილი და სთხოვა, სააკაშვილი საქართველოში არ გამოეშვათ“

მურმან დუმბაძე: „მურუსიძის სასამართლო ბიძინა ივანიშვილსაც მიადგება“

გვ.3

პაატა შეშელიძე: „თუ შეზღუდვები სრულად მოიხსნება, ეკონომიკის ბევრი დარგი ამუშავდება“

„ეროვნული ბანკი სხვის ჯიბეში ჩაყოფილი ხელია“

„რა სჭირს ვასაძეს ვინმესთან მისატმასნი?!“

ლევან ჩაჩუა: „გახარიას მიწის გასხვისება არ უნდა ეპატიოს“

გვ.4

„საქართველოს კავკასიაში ყველაზე ძლიერი პოზიციები გამსახურდიას დროს ჰქონდა“

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „დმანისში არავითარ ეთნიკურ დაპირისპირებაზე საუბარი არ არის“

გვ.2

ბადრი ჯაფარიძე: „გიორგი გახარია ჩვენი კონკურენტი ვერ იქნება“

ის „ქართული ოცნების“ თავის სატკივარია

ISSN 1987-9385

5 მუქარა იარაღით, ცემა წყლით სავსე ბოთლით და წამება პოლიციის განყოფილებაში

5 „მეგონა, რომ გოგო მოტაცებული ჰყავდა და მომიყვანდა“ სკოლის მოსწავლე კლასელი გოგონას გამო დაჭრეს

5 „ვახო სანაიას ვაქა გიგაური წიხლებით შედგა“ მოწმე რამაზაშვილის ჩვენება

6 ევროკავშირი სრულად ვაქცინირებული მოქალაქეებისთვის საზღვრებს გახსნის

„კახიშვილი ღარიბაშვილთან მიდის“

ლადო სადღობელაშვილი: „სააკაშვილსაც კი არ ჰყავდა ამ დონემდე დამონებული სასამართლო, როგორც დღეს კობახიძე-მდინარაძეს ჰყავს დამონებული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პროცესებთან დაკავშირებით? რა ხდება კულუარებში? „ქართულ ოცნებაში“ აქტიური წმენდა მიდისო. ასეა?

– ასეა და მე ვიზიარებ „ოცნების“ ამ პოლიტიკას. გახარიას კადრებისგანაც აქტიურად იწმინდება ხელისუფლება. აბა სადაური წესია, ერთ პარტიაში იყო და მეორე პარტიის ლიდერს ეტრფოდე. თან ფარულადაც არა, უკვე ღიად აკეთებენ ამას. ასე არ გამოვა და მე აბსოლუტურად ვიზიარებ „ქართული ოცნების“ აი ამ პოლიტიკას. ეს არ არის უჩვეულო და ახალი. გახარიამ გაბრაზებულმა მიიჯახუნა კარი და გავიდა პარტიიდან, სადაც უნდა გამოევლინა პრინციპულობა და დაეჭირა მელია, იქ მან სისუსტე გამოავლინა. სწორედ იმიტომ არ დაიჭირა რომ ამ ორ ადამიანს შორის, მელიას და გახარიას ვგულისხმობ, ფარული კავშირი არსებობდა. აქტიურად მიდის საკადრო ცვლილებები „ოცნებაში“ და ვისურვებდი, რომ ეს ცვლილებები წარმართოს არა პარტიამ, არამედ აღმასრულებელმა ხელისუფალმა.

– „ქართულმა ოცნებამ“ მოუხშირა პოლიტსაბჭოს სხდომებსა და შეკრებებს. რა ხდება?

– ხდება ის, რომ ხუთ თვეში არჩევნებია და ჩემთვის მართლა გაუგებარია, რატომ აფერხებს ამდენი ხანი „ქართული ოცნება“ თბილისის მერის კანდიდატურის დასახელებას. სწორედ ამაზე მიდის მსჯელობა.

– ვერ ითანხმებენ კალაძესო, ასეა?

– ასე არ არის. კალაძეს ვერ ითანხმებენ იმ პირობებით, რა პირობებითაც მას ეუბნებიან, რომ დაგვთანხმდიო. მე ასე წარმომიდგენია.

– ასეთი რა პირობები აქვს კალაძეს?

– დღეს მთელი თბილისი, თავის მერიით და საკრებულოთი, არის კალაძის ხელში. 99% მისი კადრია. რის გამოც პარტიაში შექმნილია ქვედინებები. როგორც ჩანს, კალაძეს სთავაზობენ, რომ რაღაც დათმოს. თუნდაც ასე, რომ მერი შენ იქნები, მოადგილეები ჩვენი იქნება და ასე შემდეგ.

– არ უნდათ, რომ ამხელა გავლენა ჰქონდეს კალაძეს?

– ზოგიერთმა, გემო გაუგო მმართველობას და უნდა, რომ ბოლომდე მოაჯდეს ქვეყანას.

– რომ არ დათანხმდეს კალაძე იმ პირობებს, რა პირობებსაც წაუყენებენ?

– რა თქმა უნდა, არ დათანხმდება. მე ვერ წარმომიდგენია, კალაძე რომ დათანხმდეს, მაგალითად იმას, კობახიძის კადრი რომ ჩაუსვან მერის მოადგილედ. ამას არ დათანხმდება.

„ოცნება“ მდინარაძე, კობახიძე და მათნაირი პოლიტიკურად უწარსულო ხალხისთვის არ აგვირჩევია“

– „ოცნებაში“ არის შიდა კლანური დაჯგუფება და ამას ვერ გავექცევით.

– რა თქმა უნდა, ასეა. კლანური კი არა, სახეზე გვაქვს დაქსაქსული „ქართული ოცნება“, რომლის ერთადერთი გამაერთიანებელი იყო ბიძინა ივანიშვილი. დღეს კი ერთმანეთს ჭამენ. კობახიძემ თქვა გუშინ, ჩვენ არ ვჩქარობთ მერის დასახელებას, წინ კიდევ ხუთი თვე არისო. წინა მერის არჩევნებზე მაისის თვეში უკვე ჩამოყალიბებულები იყვნენ, რომ კალაძე იქნებოდა მათი კანდიდატი.

– ახლა რას ელოდებიან?

– ახლა ნახეთ რა ხდება? ერთის მხრივ კალაძე იძახის, ვფიქრობ, დავთანხმდე თუ არ დავთანხმდეო. როგორც ჩანს, აქტიური ვაჭრობა მიდის. თუმცა ამავდროულად, კალაძემ წამოიწყო ძალიან ჭკვიანური პიარკამპანია. ვგულისხმობ იმას, რომ მისი 7-პუნქტიანი გეგმა, რითიც მან დაიწყო კამპანია...

– გუშინაც გამართა პრეზენტაცია...

– და ნახეთ რა ქნა, კვირაში ერთხელ ჩაატარებს თითო პრეზენტაციას. ანუ კვირაში ერთხელ ის აქტუალური იქნება. მე იმის თქმა მინდა, რომ ამ პიროვნებას უკვე დაწყებული აქვს საარჩევნო კამპანია. აქ უკვე საუბარია იმაზე, ის „ქართული ოცნებიდან“ იყრის კენჭს, თუ ცალკე დამოუკიდებლად?! აი ამაზეა საუბარი.

– ანუ ესეც განიხილება?

– მე თუ მკითხავთ, შესაძლოა ბევრად საინტერესოც კი იყოს, კალაძემ დამოუკიდებლად რომ იყაროს კენჭი. თუმცა დღეს რატომღაც ამაზე არავინ საუბრობს. ყველა საუბრობს იმაზე, რომ კალაძე შეიძლება ვიხილოთ გახარიასთანო. რატომ უნდა წავიდეს კალაძე გახარიასთან, მე ეს არ მესმის. თუ გუნდიდან აპირებ წამოსვლას და ამხელა გავლენა გაქვს, მაშინ დამოუკიდებელი თამაში დაიწყე.

– ანუ კალაძეს საბოლოოდ არ მიუღია გადაწყვეტილება, დარჩება თუ არა „ოცნებაში“?

– რა თქმა უნდა, ეს ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი. კალაძეს, დარწმუნებული ვარ, მინიმუმ სამი ვარიანტი აქვს შემუშავებული, საიდანაც ორი მე გითხარით. მე რატომღაც მგონია, რომ კალაძე უფრო დამოუკიდებლობისკენ გადაიხრება. კობახიძის ინტერვიუდან მე დავინახე შემდეგი ნიუანსები, რომ „ქართული ოცნება“ ჯერჯერობით ელოდება, თუ რას იზამს გახარია და ნაციონალური მოძრაობა. მმართველი პარტია ელოდება ორი ოპოზიციური ძალა რომელ კანდიდატებს დაასახელებს თბილისის მერობისთვის. სახელისუფლო ძალამ დღის წესრიგი უნდა დადოს და არ მესმის, რატომ თამაშობს თავდაცვაში?!

– ლადო, ასევე აქტიურად განიხილება „ოცნების“ კულუარებში ვადამდელი არჩევნების საკითხიცო. ამაზე რა ინფორმაციები გაქვს?

– კი, მიდის ამაზე საუბრები. პირდაპირ გეუბნებით, რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება. ეს ბიძინა ივანიშვილის სურვილი უნდა იყოს და ამ სურვილის წინააღმდეგ ვერავინ წავა. ბიძინა ივანიშვილს ეს პარლამენტი არ აწყობს. არც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს პარლამენტის ეს შემადგენლობა.

– ალბათ, ეს არის მიზეზი, თორემ ყველა თანხმდება იმაზე, რომ ადგილობრივ არჩევნებში „ოცნებას“ იმ დათქმული 43%-ის აღება არ გაუჭირდებაო.

– აბა რა! გამორიცხულია, რომ ადგილობრივ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ წარმატებას ვერ მიაღწიოს. ვადამდელი არჩევნები სხვა მიზეზით დაინიშნება. ჩაატარებენ ადგილობრივ არჩევნებს და ამ ადგილობრივი არჩევნებისთანავე, 2022 წლის დასაწყისში ჩატარდება ვადამდელი არჩევნებიც და ეს ლოგიკური იქნება. ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. ბევრია „ოცნებაში“ მსუყე ადგილებზე მოკალათებული, ვინც გასაშვებია. სიტუაცია შესაცვლელია. აბა, ისე ღარიბაშვილის დაბრუნებას რა აზრი ჰქონდა?! თუ მას გასაქანი არ მიეცა „ქართულ ოცნებაში“?!

– ვინ უშლის ხელს, ვინ არ აძლევს გასაქანს?

– საპარლამენტო გუნდი, რომელიც დღეს თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი, რომელსაც დათრეული აქვს სასამართლო. ის სასამართლო, რომელიც პრაქტიკულად ჩარეცხა მთელმა დასავლეთმა.

– ეს არის კობახიძე-თალაკვაძის გუნდი?

– უფრო კობახიძე-მდინარაძის, ვიდრე თალაკვაძის. ამ ორ ადამიანს მთელმა დასავლეთმა უთხრა, რომ თქვენ მიერ კონტროლირებადი სისტემა, რომელიც წარმოადგენს სასამართლო სისტემას, არის სრულიად ჩამოშლილი. სააკაშვილსაც კი არ ჰყავდა ამ დონემდე დამონებული სასამართლო, როგორც დღეს კობახიძე-მდინარაძეს ჰყავს დამონებული. იმედია, რომ ამას ეშველება და „ქართული ოცნება“ შეინარჩუნებს იმ სახეს და იმ იდეალებს, რომელ იდეალებზეც ის 2012 წელს შეიქმნა. მდინარაძეებისთვის, კობახიძეებისთვის და მათნაირი პოლიტიკურად უწარსულო ხალხისთვის არ აგვირჩევია ჩვენ ესენი. იმედია მიხვდებიან და შემოაბრუნებენ სიტუაციას. ასეთი სახეების გადამკიდე „ოცნებამ“ ამომრჩეველი დაკარგა. ხალხი განუდგა და ამის ერთადერთი მიზეზია, ამ მიზეზს ჰქვია ირაკლი კობახიძე. იმედია, ამას დროზე დაინახავენ.

– კახი კახიშვილი ტოვებს საპარლამენტო უმრავლესობასო. რატომ, რა მოხდა?

– კახი კახიშვილი, „ქართული ოცნების“ სახეა, ის არის პატიოსნების სახე, რომელსაც ვერ უნახეს ერთი მომდურებული ადამიანი. ამ კაცს რომ მოიმდურებ და ასე გამოიყვან მდგომარეობიდან, აი აქ უკვე დასრულდა ყველაფერი.

– რა მოხდა, კობახიძის ფრთას დაეტაკა?

– კახიშვილმა ვერ დაინახა გუნდურობა და გვერდში დგომა. ტვ პირველმა რამდენიმედღიანი გადაცემები მიუძღვნა კახიშვილს, თითქოს მისი მხილება სცადა, რომ ვითომ ფარული ბიზნესები აქვს და ასე შემდეგ. ნახევარწუთიანი სიუჟეტი ხომ მაინც უნდა გაეშვათ სამთავრობო ტელევიზიებს მის დასაცავად. მით უმეტეს, რომ ტყუილი იყო ეს ყველაფერი. გუნდმა არ დაიცვა კახიშვილი. „ოცნებიდან“ ვინც დღეს პარლამენტშია, ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი ადამიანია კახიშვილი. სხვა ლიდერებს კბილს გაკრავენ თუ არა ოპოზიციური ტელევიზიები, მაშინვე გამოხტებიან „ოცნების“ პიარშიკები სამთავრობო არხებზე და იწყებენ მათ გათეთრებას. გუნდურობა არ არის ამ პარტიაში.

– სად წავა კახიშვილი?

– წესით, ღარიბაშვილის გუნდში უნდა გადაინაცვლოს. ისევე, როგორც სესიაშვილმა გადაინაცვლა. ასე ვთქვათ, თავი შეაფარა, გაექცა ამ უბედურებას, რასაც ჩვენ ვხედავთ დღეს პარლამენტში. ძალიან კი მოეშალა ნერვები ბატონ კობახიძეს, როდესაც ახსენეს მისი პარტიის თავმჯდომარეობიდან გადაყენება. მე მაქვს ინფორმაცია, რომ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ჩატარდება რიგგარეშე ყრილობა „ქართულ ოცნებაში“ და არჩეული იქნება ახალი თავმჯდომარე. დიდი ალბათობით ეს იქნება ირაკლი ღარიბაშვილი და ეს იქნება სამართლიანი. ღარიბაშვილი კი თავისი კადრებით შეავსებს როგორც

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ბადრი ჯაფარიძე: „გიორგი გახარია ჩვენი კონკურენტი ვერ იქნება“

ის „ქართული ოცნების“ თავის სატკივარია

– „ლელო საქართველოსთვის“ საერთო კანდიდატთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არანაირ მოლაპარაკებებში ჩართული არ არის, მათ შორის, არც „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

ამის შესახებ ფრაქცია „ლელო – პარტნიორობა საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ბადრი ჯაფარიძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

ჯაფარიძის თქმით, ყველა პარტიამ ჯერ თავისი სიები, მაჟორიტარები უნდა შეარჩიოს და ამის შემდეგ გახდება ცნობილი, არსებობს თუ არა შეთანხმების შესაძლებლობა.

– ვამბობ, რომ მოდით ყველა პარტიამ თავისი სიები, თავისი მაჟორიტარები შეარჩიოს და პარალელურად, მოვსინჯოთ, თუ არსებობს შეთანხმების შესაძლებლობა. მე ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება შეთანხმება. ახლა რაიონულ კონფერენციებს ვატარებთ და გვინდა, ჩვენი კანდიდატები არა მხოლოდ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც გამოვკვეთოთ. ამ ეტაპზე ნაადრევია თქმა, როგორი კონფიგურაციით იქნება მოქმედება. ასევე, ახლა ძნელია ვთქვათ, გამარჯვების ფორმულა რა იქნება. დღეს, ახლა, არანაირ მოლაპარაკებებში საერთო კანდიდატთან დაკავშირებით ჩართული არ ვართ, მათ შორის, არც „ნაციონალურ მოძრაობასთან“. არც კონსულტაციები მიმდინარეობს, – განაცხადა ჯაფარიძემ.

მანვე აღნიშნა, რომ ერთტურიანი არჩევნების დროს კოორდინირება და შეთანხმება პროევროპულ, პროდასავლურ პარტიებს შორის აუცილებელია.

– „ახლა „ლელო საქართველოსთვის“ საზრუნავია პარტიის რაიონული კონფერენციების ჩატარება, შესაბამისი რაიონული საბჭოების არჩევა და ასევე მაჟორიტარი დეპუტატების განსაზღვრა. როდესაც ამ სამუშაოს ჩავატარებთ, სხვა ოპოზიციური პარტიებიც მზად იქნებიან. მერე შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რამდენად შესაძლებელია კოორდინირება მაჟორიტარი დეპუტატების დონეზე. ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია!

ერთტურიანი არჩევნების დროს კოორდინირება და შეთანხმება პროევროპულ, პროდასავლურ პარტიებს შორის აუცილებელიც კია. დაველოდებით, სხვა კოლეგების მხრიდან როგორ წავა პროცესები. ჩვენ გვინდა გამორჩეული არჩევნები იყოს, აღარ არსებობდეს ორპოლუსიანი სისტემა და იყოს მრავალპოლუსიანი მიდგომა, – განაცხადა ჯაფარიძემ.

ჯაფარიძემ „სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნის ინიციატივაზეც ისაუბრა. კითხვაზე, აქვს თუ არა „სტრატეგია აღმაშენებელს“ „ლელოსთან“ კონსულტაციები და რა პერსპექტივა აქვს ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნას, ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ორივე პარტიას სურს ალტერნატიული პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი შეიქმნას, თუმცა, ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ როგორი კონფიგურაციის იქნება ის.

– ჩვენ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ მოკავშირეები ვართ. ერთად შევუერთდით შარლ მიშელის დოკუმენტს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ურთიერთობა ძალიან მჭიდროა, ჩვენი კოორდინირება პარლამენტში და პარლამენტის გარეთ მჭიდრო და ახლო იქნება. შეიქმნება თუ არა ალტერნატიული მიზიდულობის ცენტრი, ჩვენ ჩვენი გეგმები გვაქვს, „სტრატეგია აღმაშენებელს“ თავისი გეგმა. იმ თვალსაზრისით, რომ ორივეს გვსურს ალტერნატიული პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი შეიქმნას, აქ ჩვენი ხედვები ემთხვევა. ჩვენც ვხედავთ ამის საჭიროებას.

ჩვენ ამ წუთას პარტიის საჭიროებებიდან ვმოქმედებთ, „სტრატეგია აღმაშენებელი“ თავისი პარტიის საჭიროებებით. ახლა ნაადრევია საუბარი, როგორ კონფიგურაციას მიიღებს ასეთი პოლიტიკური ცენტრი, – აღნიშნა ბადრი ჯაფარიძემ.

კითხვაზე, ხომ არ დაასწრებს ოპოზიციას ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნას, ჯაფარიძე პასუხობს, რომ გიორგი გახარია ოპოზიციის კონკურენტი ვერ იქნება, ის „ქართული ოცნების“ თავის სატკივარია“.

– ჩვენ ვსაუბრობთ ისეთი პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრის შექმნაზე, რომელიც მესამე არ იქნება, ლიდერობის პრეტენზია ექნება. ასეთის შექმნა გვინდა. ვფიქრობ, გახარია ჩვენი კონკურენტი ვერ იქნება, ის ცალსახად „ქართული ოცნების“ ამომრჩეველზეა ორიენტირებული, „ქართული ოცნების“ თავის სატკივარია, ვიდრე ჩვენი.

ეს ნათელია, მათი პარტიელების განცხადებებიდანაც ჩანს, რომ ოპოზიციურ ძალას არ წარმოადგენენ. ჩვენი ამოცანა რეალური პროდასავლური ოპოზიციური ფლანგის გაძლიერებაა. ამ ფლანგზე ძლიერი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნა დაეხმარება ოპოზიციურ ფლანგს, რომ გაზარდოს ელექტორატი, – აღნიშნა ჯაფარიძემ.

მან „ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტში შესვლაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თუ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შევა, ეს აჩვენებს დასავლელ პარტნიორებს, რომ ოპოზიციას ერთმანეთში თანამშრომლობა შეუძლია, ოპოზიცია მათთვის ისეთი პარტნიორია, რომელსაც გამარჯვების პერსპექტივა აქვს.

– ვისურვებდი, ოპოზიცია სრულად იყოს წარმოდგენილი პარლამენტში, ეს გაგვაძლიერებს. მეორე მხრივ, დაანახებს დასავლელ პარტნიორებს, რომ ოპოზიციას შეუძლია ერთმანეთში თანამშრომლობა, იყოს დასავლური სამყაროს ისეთი პარტნიორი, რომელსაც გამარჯვების პერსპექტივა აქვს. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ოპოზიცია სრულად იყოს წარმოდგენილი, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ გადასაწყვეტია, – დასძინა ბადრი ჯაფარიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პოროშენკოს შეხვდა ივანიშვილი და სთხოვა, სააკაშვილი საქართველოში არ გამოეშვათ“

მურმან დუმბაძე: „მურუსიძის სასამართლო ბიძინა ივანიშვილსაც მიადგება“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, ნიკა მელიამ ციხის შიში დაამსხვრია, რას უნდა ნიშნავდეს?

– ზუსტად რა იგულისხმა ვერ გეტყვით, მაგრამ ნიკა მელია რომ ღირსეულად იქცევა ციხემდე, ციხეშიც და ციხის შემდეგაც, ეს აშკარაა. ანტისაოკუპაციო მიტინგისთვის ადამიანის დაჭერა პირველი შემთხვევაა.

– მაგალითი შეიძლება იყოს სააკაშვილისთვის?

– არც სააკაშვილი უნდა იყოს ციხით შეშინებული. ციხე რომ აშინებდეს, მაშინ პოლიტიკურ მოღვაწეობას საერთოდ თავს დაანებებდა და თავისთვის, ჩრდილში იქნებოდა. პოლიტიკაში ასეთი მაგალითები მრავლად არის. ძალიან აქტიური პოლიტიკოსები გამქრალან შიშის გამო, რასაც ვერ ვიტყვით მიხეილ სააკაშვილზე.

– უმრავლესობის წვერი მიხეილ სარჯველაძე აცხადებს, რომ სააკაშვილისთვის საქართველოში ჩამოსვლა არავის აუკრძალავს.

– პეტრო პოროშენკოს შეხვდა ბიძინა ივანიშვილი და უთხრა, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში არ გამოეშვათ. არ გადმოეცათ. თუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოინდომებდა სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას, ეს მოხდებოდა, მაგრამ ისინი უფრთხილდებიან სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას. სარჯველაძე, რომელიც საერთოდ არ მახსოვს ქართულ პოლიტიკაში, ასეთ პოლიტიკოსებს მე უცაბედად აფეთქებულ პოლიტიკოსებს ვუწოდებ, ხელისუფლება მოიპოვა სხვამ და ახლა თვითონ დგას და უბრალოდ ლაპარაკობს.

– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას რა უფრო აწყობს, საქართველოში დაბრუნებული და ციხეში მყოფი სააკაშვილი თუ ისევ უკრაინაში მყოფი?

– დღევანდელ ხელისუფლებას საერთოდ დედამიწიდან გამქრალი მიხეილ სააკაშვილი აწყობს. სააკაშვილი მათთვის ციხეშიც საფრთხეა და ციხის მიღმაც. საქართველოს მოქალაქეები სააკაშვილის მმართველობის ცხრა წელს და ახლანდელი ხელისუფლების მმართველობის ცხრა წელს რომ შეადარებენ ერთმანეთს და დასკვნას გამოიტანენ, რა თქმა უნდა, ეს ხიფათს შეიცავს „ქართული ოცნებისთვის“. ეს პარალელები შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ამ ხელისუფლებისთვის. ამიტომ, საერთოდ არ აწყობთ სააკაშვილის არსებობა. იმ ცხრა წელმა მოუგო ამ ცხრა წელს ყველა პარამეტრში. ყველა მიმართულებით.

– ეს ხელისუფლება ამბობს, რომ მათი მმართველობის დროს ომი არ ყოფილა.

– დიახ, სამწუხაროდ 2008 წელს ომი იყო და ეს ომი ვერ აიცილა მაშინდელმა ხელისუფლებამ. არ ჰყოლია საქართველოს ხელისუფლება, რომლის დროსაც ოკუპანტ რუსეთს საქართველოსთან ომი არ დაეწყო. ეს არის ის რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით. ამიტომ, გვინდა მეტი საერთაშორისო პარტნიორი, უფრო მჭიდრო ურთიერთობა ნატოსა და ევროკავშირთან, რომ რუსეთს იგივე ზრახვები კიდევ არ გაუჩნდეს საქართველოსთან მიმართებით.

– როგორ ფიქრობთ, ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებზე, სააკაშვილი საქართველოში ოპოზიციისთვის დივიდენდია თუ პირიქით?

– მე ვარ პოლიტიკოსი, რომელსაც ყოველდღიური შეხვედრები აქვს ამომრჩეველთან. ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდები რეგიონებში. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში უამრავი კილომეტრი დავფარე გრიგოლ ვაშაძესთან ერთად. ხალხს, რომელსაც ვხვდები, პირდაპირ გეტყვით, არის მიხეილ სააკაშვილის ამომრჩეველი. საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც მოსწონს „ნაციონალური მოძრაობა“, მას მოსწონს მიხეილ სააკაშვილი და არის მისი ამომრჩეველი.



ეს უნდა ვაღიაროთ, გვინდა თუ არ გვინდა. ჩვენ ამას ვერ გავექცევით. ვერ შევქმნით იმის იმიტაციას, რომ თითქოს მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაზე გავლენას არ ახდენს. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ყველაზე სახიფათო დღეს სააკაშვილი „ქართული ოცნებისთვის“ არის თუ ის საქართველოში ჩამოვა.

– და არ დაუშვებს ხელისუფლება მის ჩამოსვლას თუ გადაწყვეტილება მიიღო?

– რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებენ, რომ არ ჩამოვიდეს. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს სრული უფლება აქვს საქართველოში იყოს. მე არ მჯერა მურუსიძის სასამართლოსი. მე ვარ ის ადამიანი, რომელიც სწორედ მიხეილ სააკაშვილს უკიდურესად ვაკრიტიკებდი სასამართლო სისტემის არ არსებობის გამო. მურუსიძის სასამართლოს გამო.

– რომელიც შეიძლება ბუმერანგად მოუბრუნდეს მას.

– დიახ. მოუბრუნდა კიდეც, რადგან ის სწორედ მურუსიძის სასამართლომ გაასამართლა. ამ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია, მათ შორის, არც ხელისუფლება. მურუსიძის სასამართლო ბიძინა ივანიშვილსაც მიადგება. ამიტომ, ამოცანა უნდა იყოს სამართლიანი ქვეყნის აშენება და არ ის, ვინ იქნება ხელისუფლებაში.

– და მაინც ელოდებით?

– ეს მასზეა დამოკიდებული, დაჟინებით ვერ მოვთხოვ, გინდა თუ არა ჩამოდი, მაგრამ სააკაშვილს უნდა მიეცეს პოლიტიკური საქმიანობის უფლება და ეს თუ მისი სურვილი იქნება, მე ამას ხელს შევუწყობ.

„ეროვნული ბანკი სხვის ჯიბეში ჩაყოფილი ხელია“

პაატა შეშელიძე: „თუ შეზღუდვები სრულად მოიხსნება, ეკონომიკის ბევრი დარგი ამუშავდება“

იაგო ნაცვლიშვილი

გადარჩება თუ არა ქართული ეკონომიკა შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ? რამდენად რეალური მონაცემებია საქსტატის გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, რომ უმუშევრობა მხოლოდ 0.9% -ით გადარჩება და რას პროგნოზირებს ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით? — აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე საუბრობს.

– გარკვეული შეზღუდვები მოიხსნა. ეს გამოაცოცხლებს თუ არა ეკონომიკურ ვითარებას საქართველოში და დაუბრუნებს თუ არა მას სუნთქვას?

– ეს, რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესია, ვიდრე აქამდე იყო, მაგრამ ეს არ არის საუკეთესო გამოსავალი. საერთოდ რატომ უნდა იყოს შეზღუდვები, ჩემთვის გაუგებარია. იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულია შემოსავალზე. ქვეყანას და ხალხს მოაკლო შემოსავლის წყაროები, ეს წარმოუდგენელია და ამის საპირწონე ნამდვილად არ არის დაავადების გავრცელება. ამიტომ მე ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი შეზღუდვებს. ვთვლი, რომ არაადეკვატური ნაბიჯია ამ სიტუაციაში. თუმცა, რაც თქვენ მკითხეთ, ამ სიტუაციაში ეს უკეთესია. ადამიანებს მეტი საშუალება მიეცემათ, ვისაც შეუძლია შრომა, აქვს პასუხისმგებლობა და უნდა, რომ რაღაცა გააკეთოს.

– იმ პირობებში, როდესაც მთლიანად არ იხსნება ეკონომიკა, კიდევ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბიზნესი გადარჩეს?



– მე როგორც მესმის, 1-ელი ივნისიდან გაიხსნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ტურიზმიდან შემოსავალი გაქრება. თქვეს, რომ ასეთი ჩანაფიქრი აქვთ. ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება მალე. დასანანია, რომ ხალხი ადვილად დაყვა ამ შეზღუდვებს, ჩამოყარა ყურები და დაჯდა სახლში.

– უნდა გაეპროტესტებინა თუ რა უნდა გაეკეთებინა?

– რასაკვირველია. როდესაც ასეთ რთულ ვითარებაში ხარ, მაშინ უნდა გააპროტესტო და თუ მიყვები დინებას და უჯერებ, მაშინ პასუხისმგებლობაც უნდა გაიზიარო. როგორ შეიძლება ამ ვითარებაში კმაყოფილი იყო?! რა თქმა უნდა, ზოგიერთი კმაყოფილია, მაგალითად, საჯარო სამსახურებში დასაქმებულები, რომლებიც სახლებში ისხდნენ და ხელფასებს ღებულობდნენ. ისინი, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არაფერს აკეთებენ და ახლა, მით უმეტეს. ხელფასებს ისევ იღებდნენ და თავისი საქმეებით იყვნენ დაკავებულები. მაგრამ ბევრად უფრო მეტი ადამიანი მოყვა სერიოზული წნეხის ქვეშ, მაგრამ მათ არ ეყოთ გამბედაობა, რომ პროტესტი გამოეთქვათ და პასუხები მოეთხოვათ პასუხისმგებელი პირებისგან.

– საქსტატის მონაცემებით მხოლოდ 0.9%-ით არის გაზრდილი უმუშევრობა. რამდენად სწორი მეთოდოლოგიით ხდება დათვლა და თქვენთვის დამაჯერებელია, რომ მხოლოდ 0.9%-ით არის გაზრდილი უმუშევრობა?

– ეკითხებიან მუშაობ თუ არაო, თანაც ყველას არ ეკითხებიან. გამოკითხვის დროს ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. შეიძლება აღმოჩნდეს ისე, რომ ადამიანი კი მუშაობდეს, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით არ მუშაობდეს. მაგალითად, რესტორანი გაჩერებული იყოს, მაგრამ რაღაც დახმარებას აძლევდნენ. არ მიკვირს, რომ ასეთი მაჩვენებელია, მაგრამ სტატისტიკური მაჩვენებელია არ ასახავს იმ რეალობას, რაც ქვეყანაშია. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანს ყოველთვიურად ჰქონდა 2 000 ან 3 000 ლარი, ჰქონდა გეგმები და ა. შ. ახლა კი იღებს 200-300 ლარს, რადგან რეგულაციების გამო გაჩერებულია ობიექტები. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ის ბედნიერი და წარმატებული იქნება, მაგრამ მეორე მხრივ ითვლება, რომ ის დასაქმებულია, რადგან შემოსავალს ასე თუ ისე მაინც იღებს.

– ანუ, სტატისტიკურად კი არ უნდა შევხედოთ, არამედ შინაარსობრივად?

– რა თქმა უნდა. სტატისტიკურად თუ შევხედავთ, ვერ დავინახავთ უმძიმეს სურათს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უმუშევრობის დონე ასეთი მცირე დოზით გაუარესდა. მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრმა კომპანიამ შეინარჩუნა ხალხი. შეიძლება სხვებისგან დახმარება მიიღეს კომპანიებმა, ან სხვა რაღაც მოიფიქრა და შეინარჩუნა ხალხი. მაგალითად, ადამიანი აქამდე თუ მუშაობდა რესტორანში, ახლა მუშაობს მიტანის სერვისებში. ეს ყველას არ ეხება რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება იმას, რომ იანვარ-აპრილში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა გაზრდილია 12.8%-ით, ხოლო ექსპორტი 19.6%-ით, ეს საკმარისი რაოდენობაა?

– რაც შეზღუდვები შემსუბუქდა და კომპანიებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, რომ იმუშაონ, მათ დაიწყეს რაღაცების კეთება. ცხადია, ამ დროს ექსპორტი გაიზარდა. მით უმეტეს, რომ გაზაფხული მოვიდა და ბევრმა დარგმა განაახლა მუშაობა. არ გამოვრიცხავ იმას, რომ ამ ვითარებაში ბევრმა მოახერხა ახალი პარტნიორების მოძებნა. დადებითი ტენდენცია რომ არის, ეს კარგია, მაგრამ ბევრად უკეთესი იქნებოდა, ხელის შემშლელი გარემოებები რომ არ ყოფილიყო.

– როგორია თქვენი პროგნოზი ზაფხულთან დაკავშირებით და თვლით თუ არა, რომ დაიწყება სხვადასხვა დარგების გამოცოცხლება?

– თუკი შეზღუდვები გაუქმდა და, რა თქმა უნდა, ამაში არ ვგულისხმობ რეკომენდაციებს თავის დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ გაუქმდა ეს შეზღუდვები, ბევრი მოახერხებს საქმიანობის აღდგენას. შესაბამისად ის მოიზიდავს მომხმარებელს, მათ შორის, ტურისტებსაც. ტურისტებს უყვართ საქართველოში ჩამოსვლა ბევრი მიზეზის გამო. ცოტა ხნის წინ ბათუმში ვიყავი და ამ ვითარებაშიც კი ბევრი ტურისტი იყო. თუ შეზღუდვები მოხსნეს, წარმომიდგენია, როგორ გააქტიურდება ეს სფერო. მე ოპტიმისტურად ვიქნები განწყობილი ხალხის მიმართ იმ გაგებით, რომ ისინი შეეცდებიან აუცილებლად გამოვიდნენ ამ სიტუაციიდან.

– ლართან დაკავშირებით რა მოლოდინი გაქვთ?

– რაც შეეხება ლარს, აქ ვერ ვიქნები ოპტიმისტურად განწყობილი. ის დამოკიდებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და ამაზეა მიბმული. ვერ დავდებ თავს, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს მთავრობა და ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი ფაქტობრივად ქცეულია ხელისუფლების დამხმარე ფინანსურ ინსტრუმენტად. ირიბად აფინანსებს შიდა ვალებს. სადამდე გაგრძელდება ეს, არ ვიცი. ერთადერთი ის არის, რომ თუ ეკონომიკა გაიხსნება, შესაძლოა სახელმწიფომ ნაკლებად აიღოს ეს ვალები ეროვნული ბანკის მეშვეობით კომერციული ბანკების გავლით და ამან შეასუსტოს ლარზე დაწოლა.

ხშირად მითქვამს, რომ ეროვნული ბანკი არასწორი ორგანიზაციაა და არასწორად მუშაობს. ისინი ამბობენ, რომ არაფერზე აგებენ პასუხს, სამაგიეროდ, ინფლაციაზე აგებენ პასუხს, რაც კავშირში არ არის. ფასების დადგენას ეროვნულ ბანკთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, მის წინაშე ამოცანა არასწორად არის დადგენილი. ამ მოდელში მას აქვს მეტი მოქნილობა, რომ დაეხმაროს მთავრობას, თუკი მას დასჭირდება სესხი იაფი გზით. აქ საკმაოდ ეშმაკური და არაკეთილსინდისიერი მოდელია არჩეული. ეს ურტყამს იმ ადამიანებს, ვისაც აქვს გარკვეული დანაზოგი გაკეთებული. ფაქტობრივად ეროვნული ბანკი სხვის ჯიბეში ჩაყოფილი ხელია.

„კახიშვილი ღარიბაშვილთან მიდის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პარტიას, ისე პოლიტიკურ თანამდებობებს, რომელიც ნელ-ნელა თავისუფლდება. ქუთაისი, აჭარა, კახეთი, ამ რეგიონებიდან გაუშვებენ მალე ბევრს. ბევრი სამუშაოა, რათა პარტიას სახე შეუნარჩუნდეს. დღეს „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად არ ულხინს.

– სწორედ ამით ხომ არ ისარგებლებს გახარია? „ოცნებიდან“ ბევრი მიყვება მასო.

– ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ გახარიას ელოდებიან ზუსტად. გახარია რა ნაბიჯებს გადადგამს, ამას უცდის „ოცნება“. როგორც ჩანს, ეს შინაგანი შიში აქვთ გახარიასი და რატომ არსებობს ეს შიში, ვერ ვხვდები. სულაც არ არის ეს ტიპი „ოცნებისთვის“ საშიში. ეს იყო მითი, გაბერილი ბუშტი, რომელიც უკვე გასკდა. მიზანმიმართულად ქმნიან მისგან მითს, ვითომდა ძლევამოსილ ფიგურას, კარგით რა! მითი, გახარიას ძლევამოსილებაზე, გასკდა ბუშტივით. პარტია „ქართული ოცნება“ ელოდება ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას. ამიტომ წელავენ დროს და ითანგებიან ამ მოლოდინში. ბიძინამ უნდა გადაწყვიტოს და დაალაგოს, აბა სხვა ვერ დაალაგებს ვერავინ. ბიძინა ეტყვის, როგორ უნდა განლაგდნენ, ვინ უნდა დარჩეს, ვინ უნდა წავიდეს. ვინ რომელი ქალაქის მერი უნდა იყოს, ვინ გამგებელი და აი ამის მერე, გააქტიურდებიან.

– ანუ თქვენც ღიად ამბობთ, რომ კულუარული მმართველობაა და ისევ ბიძინა მართავს „ოცნებას“?

– იქითა მხარეს თუ მოიაზრება სააკაშვილი და ის მართავს კულუარულად ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიას, აქეთა მხარეს რატომ არ უნდა მოიაზრებოდეს ივანიშვილი?! კულუარული მმართველობაა აქეთაც და იქითაც.

– ნაციონალური მოძრაობა ახსენეთ და რას იზამს ეს პარტია?

– ჩემი მოლოდინი ასეთია, რომ ქუჩაში დარჩებიან. მაქვს ინფორმაცია, რომ ნაცები, ევრონაცები და ბურჯანაძე ქუჩიდან აპირებენ შემოტევას, აქციებს სოციალურ თემებზე. ხალხი უდიდეს გაჭირვებაშია და შესაძლოა აიყოლიონ კიდეც. მოკლედ, ხავერდოვანი რევოლუციისთვის ემზადებიან. სიტუაციაც რაღაც საეჭვოდ არის გატრუნული, აი ისე, ქარიშხალს რომ მოასწავებს. „ქართულ ოცნებას“ მეტი ყურადღება მართებს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„რა სჭირს ვასაძეს ვინმესთან მისაჯმასნი?!“

ლევან ჩაჩუა: „გახარიას მიწის გასხვისება არ უნდა ეპატიოს“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური კრიზისი ნაწილობრივ მოგვარებულად ითვლება, პოლიტიკური სიტუაცია კი ისევ დაძაბულია. შემოთავაზებულ საარჩევნო რეფორმას ყველა არ იწონებს. ისევ გადაუჭრელია ნამახვანჰესის პრობლემა. 23 მაისს ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეები საპროტესტოდ თბილისში იკრიბებიან. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერს, ლევან ჩაჩუას.

– საზოგადოების ნაწილი გააღიზიანა პოლიტიკაში გააქტიურებული ბიზნესმენის, ლევან ვასაძის მხრიდან გამოჩენილმა ინტერესმა ნამახვანჰესის საკითხის მიმართ. ეს ადამიანები ამბობენ, რომ ლევან ვასაძე ეტმასნება რიონის ხეობის დამცველებს. თქვენ რას იტყვით?

– არავინ არავის არ ეტმასნება. ლევან ვასაძემ თქვა, რომ პროტესტის მონაწილეებს რიგით ჯარისკაცად შეუერთდება. ჩვენ, „ქართული იდეაც“ ხომ რიგითი მებრძოლები ვართ და რითიც შეგვიძლია, რიონის ხეობის დამცველებს ვეხმარებით. მომავალშიც ასე ვაპირებთ. რიონის ხეობის დამცველებმა გამოაცხადეს, რომ ემიჯნებიან პოლიტიკურ პარტიებს. ამიტომ ჩვენ არც საორგანიზაციო საკითხებში ვერთვებით და არც მიკროფონთან ადგილს ვეძებთ. ასეა ლევან ვასაძეც. თანაც, რა სჭირს ვასაძეს ვინმესთან მისატმასნი? ის პოლიტიკაში შემოვიდა და კარგადაც მოიქცა.

– მის გააქტიურებას მიესალმებით?

– რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი?! ჩვენ მასთან თანამშრომლობისთვისაც მზად ვართ. ყოველთვის ვამბობდი, რომ აუცილებელია ეროვნული ძალების გაერთიანება. სხვანაირად სისტემას ვერ შევცვლით.

– არჩევნები ყველას საერთო პრობლემაა. პარლამენტში შეკრებილმა პარტიებმა შეიმუშავეს ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში. ისინი ამბობენ, რომ ეს ფუნდამენტური შესწორებებია, რომელიც გამორიცხავს გაყალბებას.

– ერთმანეთთან გარიგებული პოლიტელიტა ფუნდამენტურ ცვლილებებს არ გვთავაზობს. მათი აზრით, ცესკოში უნდა დარჩეს ახლანდელი თავმჯდომარე, დანარჩენი ადგილები უნდა გადაინაწილონ ქოცებმა, ნაცებმა და მათმა განშტოებებმა. ეს რეფორმა არ არის. ჩვენი ხედვა ყოველთვის ასეთი იყო – ყველა საარჩევნო კომისია უნდა დაკომპლექტდეს არაპოლიტიკოსებით – საზოგადოების სანდო წარმომადგენლებით. უნდა გასწორდეს ამომრჩეველთა სიები და ხმის დათვლა ყველგან, ყველა კომისიაში უნდა მიდიოდეს „ლაივში“.

– ამ შემთხვევაში სამართლიანი იქნება არჩევნები?

– ამის გარდა, უნდა გაუქმდეს „კვალიფიციური პარტიების“ ცნება, რის შემდეგაც შეწყდება მათი ბიუჯეტიდან დაფინანსება და სხვა პრივილეგიები. ეს იქნება ნამდვილი რეფორმა.

– ბოლოდროინდელ მოვლენებზე რას ფიქრობთ? გაერთიანებული ოპოზიციის ერთი ნაწილი შევიდა პარლამენტში. საარჩევნო პროექტი ამის შედეგია.

– ოპოზიციის მიერ ბოიკოტის გამოცხადების პირველივე დღიდანვე ვამბობდი, რომ ეს ხალხი პარლამენტში შევიდოდა. ხომ შეძვრნენ?! ივაჭრეს და დაავიწყდათ ბოიკოტი და გაყალბებული არჩევნები.

– ყველა არ შესულა პარლამენტში.

– ვინც არ შევიდა (ან ჯერ არ შევიდა), ის კარგად ვერ გარიგდა და რაც უნდოდა, ის სარგებელი ვერ მიიღო. ვინც შევიდა, იმას აღარ ახსოვს, რას ამბობდა. ხომ გვიმტკიცებდნენ, არალეგიტიმური პარლამენტიაო. რომ შევიდნენ, ამით ხომ მოახდინეს მისი ლეგიტიმაცია?! „გააპრავეს“ ფალსიფიცირებული არჩევნები და პარლამენტი. ქართული პოლიტელიტა ყოველთვის ჩართული იყო ბინძურ თამაშებში. დამტკიცდა, რომ ჩვენი პოლიტიკური პროცესები გარედან იმართება. გიორგი ვოლსკიმ აღიარა, რომ უცხოელების დახმარების გარეშე პოლიტიკური პრობლემები ვერ გვარდება.

– ბოლო დროს მმართველი პარტიის მიმართ გამოიყენება ტერმინი „თვითდაშლა“. ამის ნიშნები „ქართულ ოცნებას“ ეტყობა?

– ხელისუფლებაში კლანები ერთმანეთს დაერივნენ. კალაძეს თავისი გუნდი ჰყავს, კობახიძეს – თავისი. კვირიკაშვილსაც ჰყავდა კლანი, გახარიასაც. ჩინოსნები ტოვებენ თანამდებობებს. ზუგდიდის მერიც წავიდა, პარლამენტის თავმჯდომარე თალაკვაძე ჩამოქვეითდა. სახელისუფლებო და მასთან დაახლოებულ კლანებს ერთმანეთში სერიოზული კონკურენცია და დაპირისპირება აქვთ. ყველაფერი გარეთ არ გამოდის. „ქართული ოცნება“ ის აღარ არის, რაც წინათ იყო. გაიხსენეთ, რა მძლავრი იყო „ქართული ოცნება“ 2012 წელს და შემდგომ წლებში, როცა მის გარშემო იკვრებოდა კოალიცია. ახლანდელი „ოცნება“, რომელსაც ოფიციალურად ვეღარ უჭერს მხარს ბიძინა ივანიშვილი, განწირულია დამარცხებისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იქნება პლაცდარმი.

– რას გულისხმობთ?

– მოახლოებული არჩევნები, თუ არაფერი შევცვალეთ, გახდება პლაცდარმი ძალაუფლების გადაბარებისათვის და „ქართული ოცნება“ გადაულოცავს ხელისუფლებას კოლექტიურ ნაცმოძრაობას. კოლექტიურ ნაცმოძრაობას ვუწოდებ ყველა ყოფილ ნაციონალს, რომელიც სხვადასხვა პარტიაში გადანაწილდა. ეს რომ არ დავუშვათ, საჭიროა ეროვნული ძალების კონსოლიდაცია. შესაქმნელია მძლავრი კონსერვატიული პოლუსი. მხოლოდ მას შეუძლია აღკვეთოს კოლექტიური ნაციონალების მობრუნება.

– მესამე პოლიტიკური ცენტრის პრეტენზია ბევრს აქვს.

– მე ეროვნულ ძლიერ ცენტრზე ვლაპარაკობ. თორემ, პარტიას გახარიაც ქმნის. გახარია იყო პრემიერი, რომელმაც ხელი მოაწერა განკარგულებას 24/05. ამ განკარგულებით თურქულ კომპანიას რიონის ხეობაში 121 ლარად საკუთრებაში გადაეცა 32 კილომეტრი. ეს მონაკვეთი ჩვენი აღარ არის. ის გასხვისდა უცხოელზე თავისი საბადოებიანად. ოქრო იქნება, ურანი თუ სხვა წიაღისეული, ყველაფერი უცხოელისაა. ამის ჩამდენი პარტიას კი არ უნდა ქმნიდეს, ციხეში უნდა იჯდეს. გახარიას მიწის გასხვისება არ უნდა ეპატიოს. ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ამისათვის დამნაშავეები ისჯებიან. საქართველოშიც მოვა ეროვნული ხელისუფლება, რომელიც მიწის გამსხვისებლებს პასუხს აგებინებს.

„საქართველოს კავკასიაში ყველაზე ძლიერი პოზიციები გამსახურდიას დროს ჰქონდა“

ვახტანგ მაისაია: „დმანისში არავითარ ეთნიკურ დაპირისპირებაზე საუბარი არ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, პოლონეთში კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე ლექცია გაქვთ დაგეგმილი. რა შედის დღეს კავკასიის უსაფრთხოების კონცეფციაში?

– კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების კონცეფციაში შედის ყველა ის მიმართულება, რომელიც რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ სტაბილურობას, მათი ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

– კავკასიის რეგიონში არსებობს კონფლიქტები. მაგალითად, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, საქართველოსა და რუსეთს შორის. ამჟამად ომი შეჩერებულია, მაგრამ არაერთი კონფლიქტის კერაა, სადაც შეიძლება ღია კონფლიქტები წარმოიშვას. ამ პირობებში როგორ წარმოგიდგენიათ სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი განვითარება?

– ყველა რეგიონს აქვს თავისი სპეციფიკა და განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა. კავკასიას გააჩნია თავისებური გეოპოლიტიკური მდებარეობა. კავკასია არის პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილი, საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს პერიოდში ეთნიკური ურთიერთობა სულ სხვა პრინციპებით იმართებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამან პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა ტიპის კონფლიქტების განვითარება გამოიწვია. კავკასიისთვის ეს საკმაოდ აქტუალური თემა გახდა.

კავკასიას უნიკალური გეოეკონომიკური მდებარეობა აქვს. ის მოკლე სატრანზიტო გზაა ევროპიდან აზიისაკენ და პირიქით. ბუნებრივია, ამაზე მიდის ბრძოლა. კავკასიის რეგიონი ასევე მდიდარია ენერგორესურსებით კასპიის აუზის მეშვეობით. კავკასია არის ენერგოდერეფანი, საიდანაც კასპიის ენერგორესურსები ევროპის ბაზრებზე გადის. კავკასიას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა.

საბჭოთა დროს კავკასია იყო ყველაზე მილიტარიზებული რეგიონი, სადაც ყოველ 1 კილომეტრზე საშუალოდ 300-მდე სამხედრო ერთეული ტექნიკა იყო განთავსებული. საბჭოთა კავშირის დროს ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე კონცენტრირებული იყო 1 მლნ-მდე სამხედრო მოსამსახურე. მარტო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში შედიოდა ორი არმია და ერთი საარმიო კორპუსი, ანუ რეგიონი ყველაზე მილიტარიზებული იყო.

ასევე თურქეთისა და ირანის მხრიდანაც მაღალი მილიტარიზაციის დონე იყო. პარიზში ხელმოწერილი „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების“ ხელშეკრულებით, კავკასიის რეგიონი განსაკუთრებული ზონის ტერიტორიაში შედიოდა, სადაც ქვეყნებს გამოყოფილი ჰქონდათ კვოტა, რამდენი შეიარაღება შეიძლებოდა ჰქონოდათ თავიანთ ეროვნულ დონეზე – არტილერია, ჯავშანმანქანები, დამხმარე ვერტმფრენები და დამრტყმელი ავიაცია.

– რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოდან ამ ხელშეკრულებით გაიყვანა.

– დიახ, ამ ხელშეკრულების ამოქმედებამ და შემდეგ იმ 1999 წელს სტამბულის სამიტზე გაფორმებულმა შეთანხმებამ საშუალება მოგვცა, ჩვენი ტერიტორიიდან რუსის ჯარი გაგვეყვანა, მაგრამ შემდეგ რუსები ისევ შემოგვიტრიალდნენ. დღეს ჩვენს ტერიტორიებზე ორი ბაზა განალაგეს. ოკუპირებულ ტერიტორიებს ვგულისხმობ.

ყველა კავკასიური სახელმწიფო ერთმანეთის მიმართ საომარ მდგომარეობაშია – დაპირისპირებაა სომხეთ-აზერბაიჯანსა და საქართველო-რუსეთს შორის. თურქებს პრობლემა აქვთ ქურთებთან. ჩრდილოეთ კავკასიაშიც მძიმე სიტუაციაა კრიმინოგენური, სოციალური და სხვა თვალსაზრისით.

– რუსეთი და თურქეთი კავკასიურ სივრცეში ძალით არიან შემოჭრილი.

– რუსეთი, თურქეთი და ირანი კავკასიური სახელმწიფოებია. მათი ტერიტორიები წარმოადგენს კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეს, ანუ დღეს კავკასიურ გეოპოლიტიკურ სივრცეში შედის ექვსი ქვეყანა: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია (თავისი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებით), თურქეთის რესპუბლიკა და ირანის ისლამური რესპუბლიკა. მართალია თურქეთი და ირანი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიცაა, მაგრამ კავკასიურ სახელმწიფოებადაც ითვლებიან.

– ამიტომ შემოიჭრნენ კავკასიურ სივრცეში, რომ კავკასიური სახელმწიფოები ყოფილიყვნენ.

– ისინი კავკასიური რეგიონის გეოპოლიტიკურ აქტორებად ითვლებიან. კავკასიისადმი დიდი ინტერესი გააჩნიათ გეოპოლიტიკურ მთავარ გლობალურ მოთამაშეებს აშშ-ს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ევროკავშირს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. კავკასიის რეგიონის მიმართ ინტერესი პოლონეთსაც გაუჩნდა, რაც არაერთხელ დააფიქსირა შავი ზღვის ინიციატივის ფორმატში, სადაც კავკასიის რეგიონი შედის.

– ამ სიტუაციაში კავკასიაში ჩვენი როლი შესუსტდა?

– საქართველო სუსტი რგოლის ვარიანტშია. ზვიად გამსახურდია დიდ როლს თამაშობდა, რომ საქართველო გამხდარიყო კავკასიის ლიდერი სახელმწიფო. ზვიად გამსახურდიას დროს საქართველო კავკასიის რეგიონში ერთპიროვნული ლიდერი იყო. მან შეძლო გროზნო-თბილისის კავშირი შეეკრა. გამსახურდიამ შემოიტანა კავკასიური სახლის იდეა, კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პირველი მოდელი. ამის პირველი აქტორები იყვნენ იჩქერიის რესპუბლიკა და საქართველო.

ზვიად გამსახურდიას დროს საქართველოს კავკასიაში ყველაზე ძლიერი პოზიციები ჰქონდა. როცა ზვიად გამსახურდიას გადატრიალება მოუწყვეს, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებმა თავშესაფარი შემთხვევით არ შესთავაზეს საქართველოს პრეზიდენტს. მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

ზვიად გამსახურდიას პერიოდში ცხინვალის კონფლიქტი, ასე თუ ისე, მოგვარებული იყო. აფხაზეთში მან პოლიტიკური მომენტი შემოიტანა და სიტუაცია პოლიტიკურად დაარეგულირა. აფხაზეთი საქართველო განუყოფელი ტერიტორიული ნაწილი იყო. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოც კი საქართველოს ინტერესების გამომხატველი გახლდათ. ასე იყო ზვიად გამსახურდიას პერიოდში.

მართალია ცუდი იყო სამოქალაქო ომი, მაგრამ შევარდნაძემაც დიდი როლი ითამაშა, როცა მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა წამოაყენა. სერიოზული ინიციატივა იყო, სამი წელი გასტანა და დიდი როლი ითამაშა კავკასიის რეგიონში სტაბილურობის მიღწევაში. ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის დროს საქართველო კავკასიაში უძლიერესი იყო, პატივსაცემი გახლდათ და ლიდერის პოზიცია ჰქონდა.

ცოტა პარადოქსულია, რომ ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძეს, ამ ორ ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ პოლიტიკურ ლიდერს, რეგიონალური უსაფრთხოების კონცეფციის კუთხით, საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდათ. ყველაზე სუსტი პოზიციები კავკასიაში სააკაშვილისა და ივანიშვილის დროს გვქონდა.

– აფხაზეთის ომის შემდეგ, კავკასიაში შევარდნაძეს ძლიერი პოზიციები ხომ შეერყა.

– აფხაზებთან დიალოგი ჰქონდა, არძინბა და შამბა ჩამოვიდნენ. ედუარდ შევარდნაძემ პრეზიდენტის ინსტიტუტთან შექმნა „მშვიდობიანი კავკასიის სახელმწიფო ბიურო“, რომელიც ამ მიმართულებით ეფექტურად მუშაობდა. ის შედიოდა პრეზიდენტის აპარატში. მე ვიყავი ედუარდ შევარდნაძის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი კავკასიის საკითხებში.

– დღეს საქართველოს გარშემო რა საფრთხეებს ხედავთ?

– დღეს ჩვენ მოწყვლადი ვართ ტერიტორიული თვალსაზრისით. ჩვენი ტერიტორია ოკუპირებულია, მასზე განთავსებულია უცხო ქვეყნის სამხედრო ძალა, რომელიც პირდაპირ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს თავზე. მთიანი ყარაბაღის ომმა შეცვალა გეოპოლიტიკურ ძალთა ბალანსი. ინიციატივა 3 პლუს 3, რომელშიც ერთი მხრივ, შედიან რეგიონის ჰეგემონი სახელმწიფოები რუსეთი, თურქეთი და ირანი, მეორე მხრივ, უნდათ სამი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩართვა.

ამ ინიციატივაში ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არ მონაწილეობენ. ამიტომ რთული იქნება ამ ფორმატში ჩვენი მონაწილეობა. ჩვენ ამის დეზავიურებაც არ შეგვიძლია. ჩვენი პულსი კავკასიის რეგიონზე გამქრალია. სოციალური სიტუაცია უმძიმესია, ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობაა.

– არ მინდა ისე დავასრულოთ ინტერვიუ, რომ ბოლო დროს, დმანისში ჩვენს მოქალაქეებს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე არ გკითხოთ. ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რაიმე საშიშროება დაინახეთ ამ დაპირისპირებაში?

– საშიშროების ტენდენცია იყო, მაგრამ მოგვარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ არავითარ ეთნიკურ დაპირისპირებაზე საუბარი არ არის. საყოფაცხოვრებო და სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი იყო, რომელიც დროულად დარეგულირდა.

მუქარა იარაღით, ცემა წყლით სავსე ბოთლით და წამება პოლიციის განყოფილებაში

მუქარა იარაღის გამოყენებით, ფიზიკური ძალადობა წყლით სავსე ბოთლით და წამება პოლიციის განყოფილებაში. მარიხუანის კულტივაციის ბრალდებით დაკავებული კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს სასტიკ ძალადობაში ადანაშაულებს.

გიორგი სლოევი ამტკიცებს, რომ პოლიციის განყოფილებაში მას სამართალდამცველები საათების განმავლობაში აწამებდნენ და დანაშაულის აღიარებას სთხოვდნენ.

გიორგი სლოევთან ერთად დაკავებული კიდევ ერთი პირი, სერგო კულეში „პირველებთან“ ამბობს, რომ მასზე სამართალდამცავებმა პოლიციის მანქანაში იძალადეს.

ახალგაზრდა ირწმუნება, რომ პოლიციის მაღალჩინოსანმა ტყვიები და ნარკოტიკული საშუალებები აჩვენა და უთხრა, აერჩია, რომელი ჩაედოთ მისთვის.

მისივე თქმით, საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში დაკავებულებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა გაგრძელდა. მეტიც, კულეშის მონაყოლის თანახმად, დაკითხვისას პოლიციის თანამშრომელმა ცეცხლსასროლი იარაღი რამდენჯერმე გადატენა.

– მითხრეს, აგერ ჩვენი უფროსი მოვიდაო, ვინც საჭესთან იჯდა, უთხრა, რომ არ ტყდება ეს ნაბო..რი, რის შემდეგაც მანქანის კართან მოვიდა, კარი გამოაღო და ბოთლი რამდენჯერმე ჩამარტყა. როცა ვიკითხე, რატომ მირტყამდა – მიპასუხა – რა, გეტკინაო?!

საჭესთან ვინც იჯდა, მან ე.წ. ბარდაჩოკი გამოაღო, ამოიღო ტყვიები. აგერ, ამოირჩიე, „გეკოს“ ტყვიები, ან ბუშტის მსგავს რაღაცაში იყო ნარკოტიკი და ყუთში ტაბლეტები, მითხრა, ამოირჩიე, რომელი ჩაგიდოო.

დასაკითხ ოთახში როცა შემიყვანეს, ახალგაზრდა პოლიციელი შემოვარდა, იარაღი გადატენა და მითხრა – პირი გააღე შე ნაბო..როო“ – აცხადებს „პირველებთან“ სერგო კულეევი.

სუსმა იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსანი მერაბ ხურციძე დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის უფროსი დააკავეს.

სუს-ის ინფორმაციით, გამოძიებით დგინდება, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის უფროსმა, მოქალაქეს გამოსახლების პროცესის აღსრულების ექვსი თვის ვადით შეჩერების სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 3.500 აშშ დოლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

დაკავებული მაღალჩინოსანი პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მერაბ ხურციძეა.

– მას ედავებიან კარგი საქმის კეთებაში ფულის აღებას. კონკრეტულად კი, გამოსახლების გარკვეული დროით გადავადებაში თანხის აღებას. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი იყენებს დუმილის უფლებას. დეტალებზე საუბარი არ შემიძლია, მაგრამ როგორც იურისტი, ამ საქმეში პროვოკაციის ნიშნებს ვხედავ. საქმის მასალების მიხედვით არის ფარული ჩანაწერები. ადამიანი, რომელმაც მას ეს ფული შესთავაზა, რა თქმა უნდა, გამოძიებასთან თანამშრომლობდა, ჩაწერა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი. მას უსმენდნენ. რა თქმა უნდა, ეს არის მთავარი მტკიცებულებები, რაც მსჯელობის და არსებითი განხილვის საგანია, – უთხრა „ტვ პირველს“ დაკავებულის ადვოკატმა.

ყაზახი ქალის გაუპატიურების საქმეზე საქართველოში ყაზახეთის საგამოძიებო ჯგუფი იმყოფება

გარდაცვლილი 26 წლის ყაზახი ქალის, ასელ აიტპატაევას გაუპატიურებაში ბრალდებული სიძის, მურატ მეირბეკოვის საქმეზე საქართველოში ყაზახეთის საგამოძიებო ჯგუფი იმყოფება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, უწყებას ყაზახურმა მხარემ სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა, რაც პროკურატურამ დააკმაყოფილა.

„ყაზახეთის მოქალაქის მ.მ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე ყაზახურმა მხარემ სამართლებრივი დახმარების თხოვნით მოგვმართა, რომელიც ქართული მხარის მიერ მყისიერად იქნა დაკმაყოფილებული. ამ დროისთვის, ყაზახეთის საგამოძიებო ჯგუფი უკვე საქართველოში იმყოფება და ქართველ კოლეგებთან ერთად საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს. ასევე, მათ ქართული მხარის მიერ ბრალდებულ მ.მ.-ს სისხლის სამართლის საქმის მასალები გადაეცათ.

როგორც მოგეხსენებათ, მ.მ. ყაზახეთში ტრეფიკინგის ბრალდებით არის დაკავებული, ხოლო საქართველოში, 2021 წლის 14 მაისს ბრალი დაუსწრებლად აქვს წარდგენილი ყახაზეთის მოქალაქის ა.ა.-ს სისხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ, გაუპატიურების ორ ეპიზოდზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით“ – აცხადებენ პროკურატურაში.

ცნობისთვის, 26 წლის ყაზახმა ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით 5 მაისს დაასრულა. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცავებმა საქართველოში ბესიკ თოდუა დაიკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია და თვითმკვლელობამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი მუქარით მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამასთან, პროკურატურამ გაუპატიურების ორი ეპიზოდის ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა გარდაცვლილი ქალის სიძეს, მურატ მეირბეკოვს. ის გარდაცვლილი ქალის დედის საჩივრის საფუძველზე რამდენიმე დღის წინ ყაზახეთში დააკავეს, თუმცა ყაზახეთის პროკურატურის მიერ დაკავებულს ამ ეტაპზე ტრეფიკინგის ბრალდება აქვს წარდგენილი.

ქობულეთის ცენტრში მამაკაცი დაჭრეს

ქობულეთის ცენტრში სისხლიანი გარჩევა დაჭრით დასრულდა. შემთხვევა 18 მაისს ღამით რუსთაველის ქუჩაზე მოხდა.

დაჭრას წინ 2 ადამიანს შორის ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. დაშავებული ამ დროისათვის სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული, მას შესაბამისი ოპერაცია ჩაუტარდა.

მამაკაცი რეანიმაციულ განყოფილებაში მძიმე მდგომარეობაშია.

შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე 1 პირია დაკავებული. მიმდინარეობს გამოძიება.

„მეგონა, რომ გოგო მოტაცებული ჰყავდა და მომიყვანდა“

სკოლის მოსწავლე კლასელი გოგონას გამო დაჭრეს

წყალტუბოში სისხლიანი გარჩევის შედეგად დაჭრილი სკოლის მოსწავლე ამ დრომდე გამოკითხული არ არის.

„ტვ პირველმა“ სავარაუდო დამნაშავის ბებია ჩაწერა, რომელიც ადასტურებს, რომ კონფლიქტი გოგოს გამო მოხდა. ქალი ჰყვება, რომ პოლიციამ მათი საცხოვრებელი გუშინ გაჩხრიკა, თუმცა სახლიდან არაფერი წაუღიათ.

– მეგონა, რომ გოგო მოტაცებული ჰყავდა და მომიყვანდა. წასულები არიან და მოიყვანენ, დამალვას აზრი არ აქვს. პოლიცია იყო პირველ საათზე მოსული, ყველაფერი გაჩხრიკეს, თუმცა არაფერი წაუღიათ. ვერაფერი უპოვიათ. გოგოს გამო გააკეთა, მანქანაში რომ ჰყავდა, განა არ იცის, რომ ერთმანეთთან ლაპარაკი აქვთ?! – აცხადებს სავარაუდო ბრალდებულის ბებია.

„პირველების“ ინფორმაციით, არასრულწლოვანი ჯერ საქმის გარჩევაზე დაიბარეს, რასაც ანგარიშსწორება მოჰყვა. კონფლიქტი სკოლის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, რომელშიც არასრულწლოვნებთან ერთად, სრულწლოვანი ბიჭებიც მონაწილეობდნენ.

ერთ-ერთი ვერსიით, ჩხუბი დაჭრილის თანაკლასელი გოგონას გამო მოხდა. მოზარდი სავარაუდოდ, სრულწლოვანმა მამაკაცმა დაჭრა.

შს სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

გუშინ, 19 მაისს, საღამოს, ინციდენტში მონაწილე პირი გამოკითხვაზე პოლიციაში მივიდა. დავით ბენიძე წყალტუბოს რაიონულ განყოფილებაში ადვოკატთან ერთად ორი დღის შემდეგ გამოცხადდა. როგორც მისი უფლებადამცველი აცხადებს, მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა საგამოძიებო ორგანოში მისვლა თავად გადაწყვიტა, რადგან მას სურს ყველა კითხვას უპასუხოს და გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

„ვახო სანაიას ვაჟა გიგაური წიხლებით შედგა“

მოწმე რამაზაშვილის ჩვენება

– ვახო სანაიას ვაჟა გიგაური წიხლებით შედგა, დანარჩენი ორი ამ დროს ქვემოდან მორბოდა და ჩხუბში ჩაერთნენ, ხელებით, ფეხებით, გინებით, როგორც ხდება ჩხუბის დროს.

ამის შესახებ სასამართლო პროცესზე ჟურნალისტ ვახო სანაიას თავდასხმის საქმეზე მოწმე გიორგი რამაზაშვილმა განაცხადა.

რამაზაშვილი იმ ავტომანქანას – „მინივენს“ მართავდა, რომელშიც ვახო სანაია ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. მოწმემ დეტალურად გაიხსენა ინციდენტის დღე, როცა უამინდობის გამო, მანქანა წყნეთის გზაზე ვერ აჰყავდათ.

როგორც ის ჩვენებაში აცხადებს, ვიდრე სამაშველო ჯგუფი მოვიდოდა, ერთი აღმართი თავად გაიარეს, იმ მომენტში ბრალდებულები ეხმარებოდნენ თუ არა, არ ახსოვს, თუმცა, ამბობს, რომ მაშველების მოსვლის შემდეგ, ბრალდებულები მათ ეხმარებოდნენ.

– სამაშველო სამსახური გამოვიძახეთ, მალევე მოვიდნენ... ვახო და გიგაური გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ, მაშველებთან ერთად აწვებოდნენ მანქანას, ვახოს ჩამოძვრა ნიღაბი, გიგაურმა იცნო და მიმართა, „პროვოკატორო, ჩემი სახე დაიმახსოვრეო“. ვახომ უთხრა, ახლა ვერაფერს ვხედავ, ჩემი პრობლემა მაქვს და დამანებე თავიო. გიგაური წავიდა, მანქანას წრე დაარტყა, ფეხი აუცდა და დაეცა, დაეცა ვახოც. ხმაურზე მოვიდნენ დანარჩენებიც და ჩაერთნენ კონფლიქტში.

ჩხუბი იყო, ფრაგმენტებად ვხედავდი გვერდითა სარკიდან, გიგაური რომ წაიქცა, მერე ვახოც დაეცა და წიხლებით შედგა გიგაური ვახოს, დანარჩენი ორი ამ დროს ქვემოდან მორბოდა და ჩხუბში ჩაერთნენ, ხელებით, ფეხებით, გინებით, როგორც ხდება ჩხუბის დროს. დავინახე, რომ მურუსიძეს ხელი მოხვდა, შეიძლება შემთხვევით მოხვდა, ვერ დავაზუსტებ.

სამაშველო სამსახური ცდილობდა სიტუაცია განემუხტა, მე ფიზიკურად ვერ ჩავერეოდი, რადგან მანქანის მუხრუჭზე მეჭირა ფეხი, სამაშველომ დააშოშმინა სიტუაცია. სანაიას პატარა ბავშვი ჰყავდა, 3 წლისაც არაა, კონფლიქტის დროს ბავშვი ჩავარდა ისტერიკაში. ეს ბიჭები დაბლა ჩავიდნენ და ჩვენ გავაგრძელეთ მანქანის ამოყვანა. საპატრულო მალევე მოვიდა, – განაცხადა რამაზაშვილმა.

მოწმემ ადვოკატების მიერ ჯვარედინი დაკითხვისას დააზუსტა, რომ კონფლიქტში მონაწილეებმა ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სამართალდამცავებმა სანაიას მიმართ, მისი პროფესიული საქმიანობის გამო განხორციელებული დევნისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მუქარის ფაქტზე 3 პირი – ვაჟა გიგაური, სულიკო საყევარაშვილი და გიორგი სახელაშვილი დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გლდანში გიგი თოლორაიას დაჭრისთვის დაკავებულ ლ.ბ.-ს ბრალი წარუდგინეს

საქართველოს პროკურატურამ გლდანში მომხდარი დაჭრის ფაქტზე დაკავებულს ბრალი წარუდგინა.

როგორც პროკურატურაში აღნიშნავენ, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 17 მაისს, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ლ.ბ.-მ ყოველგვარი მოტივის გარეშე, ხულიგნური ქვენა გრძნობით, გ.თ.-ს დანით განზრახ მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო ჭრილობები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„სამართალდამცველებმა ლ.ბ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარე ლ.ბ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. ამასთან, დაინიშნება ფსიქიატრიული ექსპერტიზა ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – აღნიშნავენ უწყებაში.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.204 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 204 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 92 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 916 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 196 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

სასაზღვრო პოლიციამ უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „ჭარალის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, განას რესპუბლიკის 1 და კონგოს რესპუბლიკის 1 მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულების მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთას საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

საერთაშორისო

ისრაელის ჩრდილოეთზე სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა

გუშინ, 19 მაისს, ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით ადგილობრივი დროით 17:16 საათზე სარაკეტო დარტყმები განახლდა.

ამჯერად, სარაკეტო დარტყმა ქალაქ აშკელონზე განხორციელდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, სექტორიდან საკონტროლო გამშვები პუნქტი „კისუფიმი“ დაიბომბა.

ღაზას სექტორის მოსაზღვრე ერთ-ერთი რაიონის მცხოვრები მამაკაცი სარაკეტო დარტყმების შედეგად დაიჭრა. ის საავადმყოფოში მოათავსეს.

კიდევ ერთი ქალი ისრაელის ჩრდილოეთით შეუძლოდ მაშინ გახდა, როდესაც განგაშის სიგნალი ჩაირთო. მან გონება დაკარგა, როდესაც თავშესაფრისკენ მიდიოდა. ექიმებმა გულისცემის ასამუშავებლად ელექტროშოკი გამოიყენეს. ის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში შეიყვანეს.

როგორც ისრაელის თავდაცვის ძალები იუწყებიან, ცაში მხოლოდ ოთხი რაკეტა გამოჩნდა, ერთი მათგანის განეიტრალება „რკინის გუმბათებმა“ შეძლო, მეორე რაკეტა დაუსახლებელ სივრცეში ჩამოვარდა, დანარჩენი ორი კი – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

ისრაელის თავდაცვის ძალებში დარწმუნებულები არიან, რომ საჰაერო იერიშები პალესტინური რადიკალური ჯგუფების „ჰამასის“ მიერ იყო ორგანიზებული.

ევროკავშირი სრულად ვაქცინირებული მოქალაქეებისთვის საზღვრებს გახსნის

ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც კორონავირუსის წინააღმდეგ სრულად არიან ვაქცინირებული, საზღვრები გახსნან.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე დიპლომატები ასევე შეთანხმდნენ, რომ შემსუბუქდეს წესები, რომლებითაც ევროკავშირი „უსაფრთხო“ ქვეყნების სიას ადგენს და ამ სიაში შევიდნენ ისეთი ქვეყნები, სადაც ბოლო 14 დღის განმავლობაში 100.000 ადამიანზე 75 შემთხვევა ფიქსირდება, ნაცვლად 25 შემთხვევისა, როგორც ეს ამჟამად განიხილება.

ევროკავშირის ე.წ. მწვანე ქვეყნების ჩამონათვალში ამჟამად მხოლოდ 7 ქვეყანა: ავსტრალია, ისრაელი, ახალი ზელანდია, რუანდა, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და ჩინეთი (საპირისპირო მხარის დადასტურების შემთხვევაში) შედის.

პეიკო მაასი 20 მაისს ისრაელსა და პალესტინის ტერიტორიებს ესტუმრება

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰეიკო მაასი დღეს, 20 მაისს, ისრაელსა და პალესტინის ტერიტორიებს ესტუმრება.

როგორც სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, მაასი შეხვდება ისრაელის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს.

ასევე დაგეგმილია მოლაპარაკებები ისრაელის პრეზიდენტთან. პალესტინის ქალაქ რამალაში ჰეიკო მაასი პალესტინის პრემიერ-მინისტრს შეხვდება.

„პოლიტიკური მოლაპარაკებები ორიენტირებული იქნება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ესკალაციასა და ძალადობის დასრულების მიმართულებით საერთაშორისო ძალისხმევაზე“ – ნათქვამია გერმანიის საგარეო უწყების განცხადებაში.

საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიაში დღესვე დაბრუნდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

ქალმა შეყვარებული ღალატში ფოტოსურათით ამხილა

ტიკტოკის მომხმარებელმა სერენა კერიგანმა ბოიფრენდი ღალატში მის მიერ ანიმირებული ფოტოსურათის წყალობით ამხილა. ამის ამსახველი ვიდეო მან სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

კერიგანმა შეყვარებულისგან მიიღო ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო სასტუმროს ნომრის ცარიელ საწოლზე დადებული ფუმფულა სათამაშო. მამაკაცი მას სწერდა, რომ მოენატრა.

ქალმა შემთხვევით, ეკრანზე თითის ხანგრძლივი დაჭერით გააააქტიურა ფოტოსურათის ანიმირების რეჟიმი. შედეგად ფოტოსურათები გადაიქცა ვიდეოდ, რომელშიც ჩანს, თუ როგორ ხტება საწოლზე ქერათმიანი უცნობი გოგონა.

– როდესაც მამაკაცი, რომელსაც ხვდები, გეუბნება, რომ მოენატრე, შემდეგ კი იღებ „ცოცხალ“ ფოტოს, – დაწერა კერიგანმა სოციალურ ქსელში.

სოციალური ქსელის მომხმარებლებმა კერიგანის მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს, ნაწილმა კი რჩევებიც მისცა იმის გასარკვევად, თუ როგორ გაეგო, სად და როდის იყო გადაღებული ფოტოსურათები და ასევე მოესმინა ის ხმები, რომლებიც ანიმირებული ფოტოს გადაღების დროს იწერება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

საქართველოს ნაკრებს ბასილაშვილი დააკლდება

დევისის თასზე საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები უდავო ლიდერის, ნიკოლოზ ბასილაშვილის გარეშე იასპარეზებს.

როგორც ტურნირის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განაცხადში წერია, ჩვენი გუნდის ღირსებას ალექსანდრე მეტრეველი (რეიტინგში 616), ალექსანდრე ბაკში (920), საბა ფურცელაძე (1.668) და ზურა ტყემალაძე (ურეიტინგო) დაიცავენ. მთავარი მწვრთნელი დავით კვერნაძეა.

დევისის თასის მესამე ჯგუფი მატჩები 16-19 ივნისს კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში ჩატარდება. თავდაპირველად რვა ნაკრებს უნდა ეთამაშა, მაგრამ მონაწილეობაზე უარი თქვა ლიხტენშტაინმა. შედეგად, შვიდი მონაწილე დარჩა: კვიპროსი, საქართველო, ისლანდია, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა და მონაკო.

გუნდები ორ ჯგუფად გადანაწილდებიან, ხოლო გამარჯვებულები მსოფლიოს მეორე ჯგუფის ფლეი ოფში თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

მეორეადგილოსნები კიდევ ერთი საგზურის გაითამაშებენ.

მე-4 ადგილოსანი დაქვეითდება, ხოლო მესამე ადგილზე გასულები ჯგუფში დასარჩენად იბრძოლებენ.

ფანცულაია ონლაინ-ტურნირის გამარჯვებულია

საქართველოს ჩემპიონი ლევან ფანცულაია საერთაშორისო ონლაინ საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებული გახდა. ფანცულაია მე-3 ქართველი მოჭადრაკეა, ბაადურ ჯობავასა და გიგა ყუფარაძის შემდეგ, რომელმაც საერთაშორისო საჭადრაკო ონლაინპლატფორმაზე გამართული ტურნირი მოიგო.

ქართველმა დიდოსტატმა 11-დან 9.5 ქულა მოაგროვა. ასეთივე მაჩვენებელი დაფიქსირეს ვლადისლავ არტემიევმა (რუსეთი), ტუან მინ ლიმ (ჩინეთი), ვლადისლავ კოვალევმა (ბელორუსია) და არიან ტარიმ (ნორვეგია). დამატებითი მაჩვენებლებით პირველობა ფანცულაიას ერგო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა მე-9 ტურში, ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიო რეიტინგის ლიდერი, ამერიკელი ჰიკარუ ნაკამურა დაამარცხა.

ტურნირი შვეიცარული სისტემით 11 ტურად გაიმართა და მასში 72 ქვეყნის 697 ტიტულოვანი მოჭადრაკე იყო ჩართული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

ცოლმა ქმარი ღალატში ამხილა და საყვარელთან აეროპორტში გამოიჭირა



ტიკტოკის მომხმარებელმა განაცხადა, რომ მოღალატე ქმარი ამხილა და ის საყვარელთან ერთად აეროპორტში გამოიჭირა. ამის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში ქალის გვერდზე გამოქვეყნდა.

ტიფანი კოატსის თქმით, ქმარმა ის გააფრთხილა, რომ ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში მიფრინავდა. ქალს ამან ეჭვი გაუჩინა, ავიაკომპანიაში დარეკა და მეუღლის თანამგზავრის ვინაობა დაადგინა.

კოატსმა ფეისბუქში მეუღლის სავარაუდო საყვარლის გვერდი იპოვა და მისი ქმარი საქმის კურსში ჩააყენა. შემდეგ ისინი ერთად მივიდნენ აეროპორტში, რათა მოღალატე მეუღლეებს მოსაცდელ დარბაზში შეხვედროდნენ. მათ საყვარლების ბარგი ადრევე აიღეს, რათა მათ მიმალვა ვერ მოეხერხებინათ და ცდა დაუწყეს.

საყვარლის ქმარმა მის ბარგში ახალი ნივთები აღმოაჩინა, რომელიც ქალმა ლას-ვეგასიდან ჩამოიტანა და ისინი კოატს გადასცა. როგორც გაირკვა, საყვარლებმა თავიანთი მეუღლეები აეროპორტში შენიშნეს და შეეცადნენ ავტოსადგომზე დამალულიყვნენ. ქალის ქმარმა მიმალვა მოახერხა, მისი საყვარელი კი თავის ქმარს გადაეყარა. მოგვიანებით კოატსმა ქმრის საყვარელს მისი ბარგი დაუბრუნა.

ამავე დროს კი ქმარმა კოატს ტრანსპორტის უსაფრთხოების დაცვის სამსახურში უჩივლა და განაცხადა, რომ ცოლმა მისი ბარგი მიითვისა. ამის საპასუხოდ ქალმა განაცხადა, რომ ის არაფრის დაბრუნებას არ აპირებს, შემდეგ კი განქორწინებაზე განცხადება შეიტანა.

პირველ პაემანზე წასული მამაკაცი მოულოდნელად გამდიდრდა

ინგლისის უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ დადლის მცხოვრები თავის ახალ ნაცნობ გოგონასთან პირველ პაემანზე მიდიოდა, როდესაც ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

21 წლის ლიუკ ეშმენმა გაიხსენა, თუ როგორ გადაწყვიტა 22 აპრილს გოგონა სადილზე დაეპატიჟებინა. მანამდე კი მან პროდუქტების მაღაზიაში შეიარა ენერგეტიკული სასმელისთვის, რათა საკუთარი თავი გაემხნევებინა და გადაწყვიტა მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთიც შეეძინა. მანქანაში დაბრუნებულმა გათამაშების შედეგები შეამოწმა.

ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა. შედეგად ეშმენი 250 ათასი ფუნტი სტერლინგით გამდიდრდა. ამის შემდეგ ის სახლში დაბრუნდა და სასიხარულო ახალი ამბავი ოჯახს გაუზიარა.

საღამოს, სადილის დროს, ახალგაზრდა მამაკაცმა სასიხარულო ამბავი გოგონასაც უამბო. მან შამპანური შეუკვეთა, რათა ერთდროულად ორი ამბავი ააღენიშნა, პირველი პაემანი და ლატარიაში მსხვილი მოგება.

– შეიძლება ითქვას, რომ ერთბაშად ორი ჯეკპოტი მოვხსენი, – აღნიშნა იღბლიანმა ბრიტანელმა.

მოგებული თანხის ნაწილით ეშმენი ახალი ავტომობილის ფორდ მუსტანგის ყიდვას აპირებს, ხოლო დანარჩენს საკუთარი ბიზნესის დასაწყებად გადადებს, რომელიც უძრავ ქონებას უკავშირდება.

ქალმა საკუთარი წარმომავლობის საიდუმლოებას ფარდა ახადა

42 წლის ამერიკელმა ქალმა ტიკტოკში საკუთარ ბავშვობაზე მოულოდნელად შეტყობილი ახალი ამბები გამოაქვეყნა და სახელი გაითქვა. მან საკუთარ გვერდზე ვიდეორგოლების სერიალი დადო, რომელშიც ის ყვება, თუ როგორ ახადა ფარდა საკუთარი წარმომავლობის კრიმინალურ საიდუმლოებას.

როდესაც 26 წლის იყო, გაიგო, რომ ქალი, რომელმაც ის აღზარდა, მისი ბიოლოგიური დედა არ გახლდათ და გადაწყვიტა, ნამდვილი მშობლები მოეძებნა. მან ჩათვალა, რომ ყველაზე ადვილი ნამდვილი დედის პოვნა იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ პოლიციის ჩანაწერებს ნახავდა. ის მშობლიური ქალაქის შერიფის სამმართველოს დაუკავშირდა და მათ საკუთარ თავზე ინფორმაცია მიაწოდა.

– შერიფმა მთხოვა, დავმჯდარიყავი, შემდეგ კი მითხრა, რომ ჩემს მშობელ დედაზე არანაირი მონაცემები არ ჰქონდათ, მაგრამ თავად მე დაკარგული ადამიანების სიაში ვიმყოფებოდი, – განაცხადა ქალმა.

პოლიციის სამმართველომ შეატყობინა, რომ ის 1980 წლიდან გატაცებულად ითვლება.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ქალის ბიოლოგიურმა დედამ ის არალეგალურად მიჰყიდა ოჯახს, რომელიც, თავის მხრივ, მას საკუთარ შვილად მიიჩნევდა. ქალის ღვიძლმა ბებიამ ამის შესახებ არ იცოდა და ბავშვის გატაცებაზე პოლიციაში განცხადება შეიტანა, დედამ კი თავი ისე მოაჩვენა, თითქოსდა თავადაც არაფერი იცოდა ბავშვის ადგილსამყოფლის შესახებ.

მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა და გადაწყვიტა, აღარ იმუშაოს

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ლანსინგის მცხოვრებმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და გადაწყვიტა, აღარ იმუშაოს.

57 წლის მაიკლ ნეშმა 15 მარტის გათამაშების ლატარიის ბილეთი შეიძინა. შედეგად მოიგო თანხა, რომელსაც 20 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 25 ათას დოლარის სახით მიიღებს.

– ზოგჯერ ვყიდულობ ლატარიის ბილეთებს და ამჯერადაც გადავწყვიტე ბედი მეცადა, როდესაც მაღაზიაში შევედი. მეორე დილას, სამსახურში მიმავალ გზაზე ისევ შევიარე მაღაზიაში გათამაშების შედეგების შესამოწმებლად. როდესაც ვნახე, რომ პრიზად მივიღე ყოველწლიურად 25 ათასი დოლარის მიღება, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – განაცხადა ნეშმა.

ამერიკელი ლატარიის შტაბ-ბინაში მივიდა. მას შეეძლო ერთიანად მიეღო 390 ათასი დოლარი, მაგრამ მან ყოველწლიური გადახდა ამჯობინა.

ნეშის თქმით, ეს მოგება მას პენსიაზე გასვლაში დაეხმარება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

სალომე ზურაბიშვილმა რჩეულები დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ორბელიანების სასახლეში საზეიმო მიღება გამართა და რჩეულები დააჯილდოვა.

ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ მარინე ჩიხლაძე – ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიის კვლევისა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის;

ბესიკ მზექალაშვილი, ზურაბ მზექალაშვილი, გიორგი შიოშვილი და სიმონ ჭიჭოშვილი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში შეტანილი წვლილისა და ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისათვის;

არჩილ გელოვანი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქართული კულტურის მხარდაჭერისათვის.

ეროვნული გალერეა მხატვრებისთვის იხსნება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მაისს კი, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, სამინისტრო აცხადებს, რომ ხელოვნების მუზეუმის აღდგენის პროცესში ახალი თაობა – სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის, სახვითი ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია/კონსერვაციისა და სხვა სპეციალობების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 50-ზე მეტი სტუდენტი ჩაერთვება.

ასევე, მუზეუმის აღდგენის პროცესში ჩაერთვება ის რამდენიმე ახალგაზრდაც, რომელიც მინისტრის 20 აპრილის მოწოდებას კულტურის სამინისტროს სისტემის გარედან გამოეხმაურა და ამ საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. ახალგაზრდები შესაბამისი კვალიფიკაციის უფროსი ასაკის პროფესიონალების ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებენ და მათი პირველი ამოცანა ფონდების აღრიცხვა, შესაბამის ჟურნალებში მითითებულ მონაცემებთან რეალური მონაცემების შეჯერება და იმის დადგენა იქნება, თუ რა ინახება ამჟამად ხელოვნების მუზეუმის შესაბამის ფონდებში. დანაკლისი ცალკე აღირიცხება და გატარდება კანონით დადგენილი ღონისძიებები. საბოლოო ჯამში კი, თითოეული ექსპონატის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პასპორტიზაცია უნდა მოხდეს და ფონდების მართვაც მკაცრად გაწერილ პროტოკოლსა და თანამედროვე მენეჯმენტს უნდა დაექვემდებაროს.

ამავდროულად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მიიღებენ უნიკალურ გამოცდილებას, რაც მათ სასწავლო პროცესში კრედიტების მიღების საშუალებას მისცემს, ხოლო მომავალში წარმატებულ პროფესიულ საქმიანობაში შეუწყობს ხელს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

ქალმა საკუთარი გასვენების რეპეტიციაზე ათასობით პესო დახარჯა

დომინიკანის რესპუბლიკის მკვიდრმა ქალმა ოცნება აისრულა საკუთარი გასვენების რეპეტიციით, რის გამოც ის სოციალურ ქსელებში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

აპრილის ბოლოს 59 წლის მაირა ალონზომ მშობლიურ ქალაქ სანტიაგოში საკუთარი ცრუ გასვენება მოაწყო. ქალმა ერთ დღით დაიქირავა სასახლე და ცერემონიაზე დასასწრებად ნათესავები და მეგობრები მიიწვია. ის თეთრ სამოსში გამოეწყო, თავზე ყვავილების გვირგვინი დაიდგა, სასახლეში ჩაწვა და თვალები დახუჭა, თითქოსდა მიცვალებული იყო. დომინიკანელი დროდადრო ცხვირის ნესტოებში ბამბას იტენიდა, როგორც ამას პროზექტურაში გვამებზე აკეთებენ.

გასვენების ამსახველ კადრებზე ჩანს, როგორ ეღიმებათ ქალის ნათესავებსა და მეგობრებს და ამ ყოველივეს ტელეფონებით იღებენ იმ დროს, როდესაც თავად ალონზო ნახევრად თავდახურულ სასახლეში წევს. ქალის თქმით, ცრუ გასვენების ორგანიზებაზე დაახლოებით 60 ათასი მექსიკური პესო დახარჯა.

– თუ ხვალ მოვკვდები, არ მინდა, რომ ვინმემ მოაწყოს ჩემი გასვენება, ვინაიდან ეს მე სიცოცხლეში უკვე გავაკეთე, – განაცხადა ალონზომ. მან ასევე ხუმრობით ურჩია ნათესავებსა და ახლობლებს, რომ უახლოეს მომავალში არ დაიხოცონ, ვინაიდან სასახლეში მარტოობა ძნელია.

სოციალური ქსელების მომხმარებლებმა ქალი მკაცრად გააკრიტიკეს. კომენტატორებმა აღნიშნეს, რომ მან კარგი დრო ვერ შეარჩია ყალბი გასვენების ორგანიზებისთვის, მაშინ როცა უამრავი ადამიანი იღუპება კოვიდ-19-სგან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბითაძის მაგარი თამაში და ორმაგი დუბლი

გოგა ბითაძემ ნბა-ს კარიერის განმავლობაში ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა და ამისთვის მას 19 წუთი დასჭირდა. ინდიანა პეისერსის ქართველმა ცენტრმა ახალი ფორმატის ეგიდით ჩატარებულ მატჩში გამოიჩინა თავი, რომელში წაგებაც ინდიანასთვის სეზონის დასრულებას ნიშნავდა.

ნბა-ს ფლეი ოფში პირდაპირი გზით თითო კონფერენციის 6-6 საუკეთესო გუნდი გავიდა. კონფერენციებში 7, 8, 9 და 10 ადგილებზე გასული გუნდები კი, საკვალიფიკაციო რაუნდს თამაშობენ ფლეი ოფში დარჩენილი 2 ადგილის შესავსებად. ახალი ფორმატის თანახმად, 7 და 8 ადგილებზე გასულ გუნდებს შორის გამარჯვებული ფლეი ოფში პირდაპირ გადის, ხოლო წაგებული ბოლო საგზურისთვის 9 და 10 ადგილებზე გასულებს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ინდიანამ აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-9 ადგილი დაიკავა და პირველ საკვალიფიკაციო მატჩში მე-10-ზე გასულ შარლოტ ჰორნეტსს შეხვდა და 144:117 გაანადგურა. სწორედ ამ შეხვედრაში დააფიქსირა ბითაძემ ნბა-ს კარიერის საუკეთესო შედეგი. ქართველმა ცენტრმა 14 ქულა, 10 მოხსნა, 3 დაფარება, 1 პასი და 1 ჩაჭრა ისე მიითვალა, ბურთი არ დაუკარგავს.

14 ქულა ბითაძის ნბა-ში პირადი რეკორდის გამეორებაა. პირველად მან 14 ქულა გასულ აპრილს, მინესოტასთან მოგებულ მატჩში მიითვალა. რაც შეეხება ორმაგ დუბლს, ეს მეორედ მოახერხა. პირველად ეს 2019 წლის 2 ნოემბერს, კლივლენდთან 102:95 მოგებულ მატჩში დააფიქსირა, როდესაც 25 წუთში 10 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. მიმდინარე სეზონში კი, გოგამ პირველად მიაღწია 10-მოხსნიან ბარიერს.

შარლოტთან მატჩში ბითაძემ მეორე პერიოდში 7 წუთი ითამაშა, ხოლო ბოლო პერიოდში სრული 12 წუთი დაჰყო მოედანზე. ქართველმა ცენტრმა 8-დან 4 ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

ინდიანაში საუკეთესო შედეგი დომანტას საბონისმა დააფიქსირა, რომელმაც ბითაძის მსგავსად 14 ქულა, თუმცა 21 მოხსნა და 9 პასი მიითვალა. ბომბარდირი 23 ქულით ოში ბრისე გახდა, 21 ქულა დაგ მაკდერმოტმა მოაგროვა. მიუხედავად იმისა, რომ ინდიანელთა ძირითადი ცენტრი, მაილს ტერნერი ტრავმირებულია, ბითაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა.

ინდიანას ფლეი ოფამდე 1 ნაბიჯი დარჩა. საამისოდ, ბითაძის გუნდი ვაშინგტონს გაეჯიბრება, რომელმაც საკვალიფიკაციო მატჩი ბოსტონთან წააგო.

ვილი სანიოლი თბილისში იცხოვრებს და მეტი ქულის მოპოვებას შეეცდება

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2 და 6 ივნისს ამხანაგურად რუმინეთსა და ნიდერლანდებს გაეჯიბრება. ვილი სანიოლის გაწვრთნილი გუნდი ორივე მატჩს სტუმრად გამართავს.

სანიოლმა უკვე დაასახელა შემადგენლობა, ხოლო სასტუმრო „შერატონში“ პრესკონფერენცია გამართა.

ვილი სანიოლი:

– განვლილ 3 მატჩში შესაძლებელი იყო მეტი ქულის აღება. საბოლოო შედეგით იმედგაცრუებულები დავრჩით, რადგან კარგი შედეგებისაგან შორს არ ვიყავით. თუმცა, ისიც დაგვანახა, რომ კიდევ არის გადასადგმელი ნაბიჯები და შრომა უნდა გავაგრძელოთ და იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში უკეთესი შედეგები გვექნება. უნდა მივუახლოვდეთ იმ გუნდებს, რომელსაც რამეზე პრეტენზია გააჩნია.

– რა კონკრეტული გეგმები გაქვთ რუმინეთთან და ნიდერლანდებთან და რაზე აპირებთ აქცენტის გაკეთებას?

– ჩემთვის დიდი პლუსია, რომ ამ ორი მატჩის წინ ფეხბურთელებთან დიდ დროს გავატარებ. მწვრთნელისთვის მოთამაშეების პიროვნების გაცნობა ძალიან მნიშვნელოვანია და ამის შანსიც მომეცემა. ტაქტიკაზე საუბარი არ მსურს, მაგრამ მივცემთ შანსს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მარტში ვერ ვნახეთ. ჩემთვის მნიშვნელოვანია შეასრულონ დავალებები და შეინარჩუნონ მყარი დისციპლინა. ჩვენი მიზანია, გუნდი მოემზადოს სექტემბრის თამაშებისთვის, რათა მეტი ქულა დავაგროვოთ. ერთს ვიტყვი, აქცენტი გადატანილი იქნება ბურთის კონტროლზე.

– ნაკრებში პირველად არის გამოძახებული სერგო კუხიანიძე. რა კუთხით გამოარჩიეთ ეროვნული ლიგის ფეხბურთელი?

– ჩემთვის კარგი სიურპრიზია ეროვნული ლიგიდან ფეხბურთელის გამოძახება. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ კუხიანიძე განსხვავებულია სხვა შემტევებისგან და დაგეშილია გოლზე. ვნახავთ, რა სჭირდება, რისი გაუმჯობესება და ჩვენ ამაზე ვიმუშავებთ. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ თამაშობდი ბოლო 5 წლის განმავლობაში; მთავარია, რას აკეთებს მოთამაშე ახლა და რისი გაკეთება შეუძლია მომავალში. მე ყოველთვის მზად ვარ, შანსი ახალ ფეხბურთელებს მივცე.

– ნაკრებში არ არიან გამოძახებული გიორგი ქვილითაია და გიორგი ბერიძე.

– ქვილითაიას აქვს კარგი რესურსი. თუმცა, მისი ფიზიკური ფორმით მარტის თამაშებში ბოლომდე კმაყოფილი არ ვიყავი. თანამედროვე ფეხბურთში დიდი დატვირთვებისთვის უნდა იყო მზად. იმედია, გიორგის მომავალში ეროვნული ნაკრების ფორმით ვიხილავ, მაგრამ მანამდე კუხიანიძის გამოცდა გადავწყვიტე, რომელსაც, გიორგისგან განსხვავებით, არ ვიცნობ. გუნდში კონკურენციის ამაღლება გვჭირდება და იმედი მაქვს, რომ ეს კონკურენცია გიორგისაც დაეხმარება. რაც შეეხება ბერიძეს, ჩვენ ვნახეთ მისი თამაში, თავი ცუდად არ წარმოუჩენია, მაგრამ ახლა გვინდა სხვა ფეხბურთელები ვნახოთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზურიკო დავითაშვილი. ეს ჩვეულებრივი საწვრთნელი მომენტია.

– ამხანაგურ მატჩებში ნაკრებს ვერ დაეხმარება კაპიტანი ჯაბა კანკავა. ვინ გაიკეთებს სამკლავურს რუმინეთთან და ნიდერლანდებთან?

– კანკავას მცირე ტრავმა აქვს და გამოძახება არ გავრისკეთ. კაპიტნის შეცვლას არ ვაპირებ, რადგან კანკავას მოქმედებებმა დამარწმუნა, რომ ის სამკლავურს იმსახურებს. იმედია, ჯაბა სექტემბრის უმნიშვნელოვანეს თამაშებში ჩვენთან იქნება. მისი არყოფნის დროს გუნდს მოედანზე გურამ კაშია გაიყვანს. გუნდს 2 კარგი ლიდერი ჰყავს და მათი არყოფნის შემთხვევაში, კაპიტანი ის იქნება, ვინც დაიმსახურებს.

– უკვე მეორედ იძახებთ ფეხბურთელებს და ისევ არ არის გიორგი მაკარიძე, რომელსაც ესპანურ ალმერიაში სათამაშო დროც ბევრი აქვს და მშვენიერ ფორმაშია.

– მაკარიძე გუნდზეა ფოკუსირებული და ალმერიას ესპანეთის ლა ლიგაში გადასასვლელად ფლეი ოფის მატჩებში უნდა დაეხმაროს. ამიტომ ვერ დაგვეხმარება. რაც შეეხება სხვა მეკარეებს, ლაზარე კუპატაძე ერთ მატჩს აუცილებლად ითამაშებს, ხოლო მეორე შეხვედრაზე ჯერ არ ჩამოვყალიბებულვარ, რომელი დადგება კარში – გიორგი ლორია თუ გიორგი მამარდაშვილი.

– ამხანაგური მატჩებისთვის არ არის გამოძახებული გია გრიგალავა. როგორც ვიცით, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის მარტის მატჩების დროს მცირე გაუგებრობა წარმოიშვა.

– ესპანეთთან მატჩის შემდეგ მქონდა საუბარი გრიგალავასთან და შემდეგ დაგვტოვა. მან თქვა, რომ უკმაყოფილო იყო უთამაშებლობით, ძირითადში ყოფნა სურდა. ნაკრები ისეთი ორგანიზმია, სადაც თამაში უნდა დაიმსახურო. კლუბში თამაშის დროსაც ნაკრებზე უნდა იფიქრო, რადგან ეს სიამაყეს გაძლევს. გრიგალავასთან საუბრის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საკითხებს სხვანაირად ვუყურებდით.

– როგორია ქართული ფეხბურთის 2 იმედის, ხვიჩა კვარაცხელიასა და გიორგი ჩაკვეტაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– კვარაცხელიას საინტერესო და რთული სეზონი ჰქონდა. ის სრული დატვირთვით ვარჯიშობს და გუნდს ამ მატჩებში დაეხმარება. რასაც ჯერ ვერ ვიტყვით ჩაკვეტაძეზე. მის შემთხვევაში განსხვავებული რეალობაა – დიდი დრო გაუცდა და ორგანიზმს მომჯობინება სჭირდება. გიორგიმ იცის, რომ მომწონს და მის გუნდში ყოფნას ვისურვებდი.

– გაქვთ თუ არა კონტაქტი ესპანური ლევანტეს ფეხბურთელ გიორგი ქოჩორაშვილთან და თუ არის თქვენი დაკვირვების არეში?

– ქოჩორაშვილს ვაკვირდებით, მაგრამ მთავარ გუნდში საკმარისი დრო არ ეძლევა. კარგ ლიგაშია, მაგრამ უმაღლეს დონეზე ბევრი თამაშის ჩატარება არ უწევს და, ძირითადად, ახალგაზრდულ გუნდში გამოდის. ვთვლი, რომ ლევანტეს მე-2 გუნდსა და საქართველოს ნაკრების შორის დიდი სხვაობაა. ის ახალგაზრდა ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, მომავალში ნაკრების წევრი გახდება, მაგრამ მანამდე უმაღლეს დონეზე სტაბილურად უნდა ითამაშოს.

– 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით 3 მატჩს საქართველოს ნაკრები ბათუმში ჩაატარებს. თქვენ იყავით ბათუმში ეროვნული ლიგის თამაშზე. რას ფიქრობთ ამ გადაწყვეტილებაზე?

– ბათუმში კარგი სტადიონი და მშვენიერი ატმოსფეროა. მართალია, სტადიონი პატარაა, მაგრამ, მთავარია, მხარდაჭერა როგორი იქნება. ჩვენ ველოდებით, რომ – შესანიშნავი. კოსოვოსთან მატჩში ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება. თუმცა, მანამდე მოახლოებულ ამხანაგურ თამაშებზე ვფიქრობთ.

– რა აზრის ხართ ეროვნულ ჩემპიონატზე, რომელსაც უკვე 3 თვეა თვალს ადევნებთ?

– ეროვნულ ჩემპიონატთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება და აზრი მაქვს. მომავალში მექნება კომუნიკაცია ყველასთან და გვინდა ყველა საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული საუბრები გვქონდეს. თუ გვინდა რამეს მივაღწიოთ, და თანამედროვე ფეხბურთს ფეხი ავუწყოთ, მეტი ფიტნესი და ფიზიკური მომზადებაა საჭირო.

– როგორც შევიტყვეთ, ნაკრებში მუშაობის პერიოდში თბილისში იცხოვრებთ.

– დიახ, ჩემს თანაშემწესთან ერთად გადავწყვიტე თბილისში ვიცხოვრო, უკეთ გავიცნო საქართველო, ხალხი, კულტურა...

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

მანჩესტერი-ფულემი	1:1
საუთჰემპტონი-ლიდსი	0:2
ბრაიტონი-სიტი	3:2
ჩელსი-ლესტერი	2:1

საბურნირო ცხრილი:

1.სიტი	37	26	5	6	78-32	83
2.მანჩესტერი	37	20	11	6	71-42	71
3.ჩელსი	37	19	10	8	57-34	67
4.ლესტერი	37	20	6	11	66-46	66
5.ლივერპული	36	18	9	9	63-42	63
6.ტოტენჰემი	36	17	8	11	63-41	59
7.ვესტ ჰემი	36	17	8	11	56-46	59
8.ლიდსი	37	17	5	15	59-53	56
9.ევერტონი	36	16	8	12	46-43	56
10.არსენალი	36	16	7	13	50-38	55
11.ასტონ ვილა	35	14	6	15	51-44	48
12.ვულვზი	36	12	9	15	35-49	45
13.კრ.პალასი	36	12	8	16	40-61	44
14.საუთჰემპტონი	37	12	7	18	47-65	43
15.ბრაიტონი	37	9	14	14	40-44	41
16.ბარნლი	36	10	9	17	33-51	39
17.ნიუკასლი	36	10	9	17	43-62	39
18.ფულემი	37	5	13	19	27-51	28
19.ვესტ ბრომვიჩი	36	5	11	20	33-70	26
20.შეფილდი	36	6	2	28	19-62	20

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კარტახენა-ალმერია	3:2
ალბასეტე-ლუგო	1:1
პონფერადინა-ესპანიოლი	1:4

იტალია. სერია ა

ლაციო-ტორინო	0:0

საბურნირო ცხრილი:

1.ინტერი	37	27	7	3	84-34	88
2.ატალანტა	37	23	9	5	90-45	78
3.ნაპოლი	37	24	4	9	85-40	76
4.მილანი	37	23	7	7	72-41	76
5.იუვენტუსი	37	22	9	6	73-37	75
6.ლაციო	37	21	5	12	61-53	68
7.რომა	37	18	7	12	66-56	61
8.სასუოლო	37	16	11	10	62-56	59
9.სამპდორია	37	14	7	16	49-54	49
10.ვერონა	37	11	11	15	45-47	44
11.ბოლონია	37	10	11	16	50-61	41
12.უდინეზე	37	10	10	17	41-53	40
13.ფიორენტინა	37	9	12	16	47-59	39
14.ჯენოა	37	9	12	16	46-58	39
15.სპეცია	37	9	11	17	50-70	38
16.კალიარი	37	9	10	18	43-58	37
17.ტორინო	37	7	15	15	49-68	36
18.ბენევენტო	37	7	11	19	39-74	32
19.კროტონე	37	6	4	27	45-92	22
20.პარმა	37	3	11	23	39-80	20

საფრანგეთი. ლიგა 2

ფლეი ოფი

გრენობლი-პარიზი	2:0

პოჩტგალია. პრიმეირა ლიგა

ტონდელა-ფერეირა	2:3

თურქეთი. თასი

ფინალი

ანთალია-ბეშიქთაში	0:2

შვედეთი. ალსვენსკა

დეგერფორსი-იორტბრო	3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯვარედინი 8



შვეულად: 1. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 2. მდინარე რიონის მარცხენა შენაკადი; 3. ეგრისის სამთავროს ქალაქი; 4. მძიმეწონიანი ტვირთის გადასაზიდი მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი; 8. ფინური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი კენედისა და დალესის სახელობის აეროპორტების შენობების პროექტის ავტორი; 9. ნავთობპროდუქტების გასაწმენდად გამოყენებული მათეთრებელი თიხა; 11. ქუჩა ნიუ იორკში; 12. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 14. პურეული მცენარე; 16. ბაღის სასხლავი მაკრატელი; 17. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 19. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით.

თარაზულად: 5. რაიმე მოვლენის დამახასიათებელი ნიშანი; 6. ორკესტრის ხელმძღვანელი; 7. ქართველ სახალხო მკურნალთა გვარი; 10. უკრაინული ცეკვა; 13. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი მამაკაცი; 15. სპორტის ტექნიკური სახეობა, მოტოციკლეტებით რბოლა ყინულზე ან წიდიან ბილიკზე; 18. სატუსაღო ძველ თბილისში; 20. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 22. მათემატიკის ნაწილი; 23. სიტყვის თავსართი გრამატიკაში; 24. ველური ვაზი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პობედა; 2. წეკო; 3. შარლატანი; 4. აგუნა; 5. მამფალი; 8. ნაგანი; 9. მინანქარი; 12. წულაძე; 14. იაზონი; 16. იტილი.

თარაზულად: 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბიონიკა; 9. მიქლიო; 10. ჯარა; 11. ბაირონი; 13. კეინი; 15. ბულიტი; 17. ყირმიზი; 18. რატილი; 19. ელინგი; 20. ლიზინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დაგერი; 2. ბულიონი; 3. კოტირება; 4. სტაჟიორი; 8. კურვუაზიე; 9. სინტოიზმი; 11. მირიანი; 12. დალი; 14. ერგი; 16. კლინიკა; 17. მარიფათი; 19. ალიევი; 21. მოცვი.

თარაზულად: 5. ფორსინგი; 6. ელინისტი; 7. ბარსელონა; 10. ბელუჩი; 13. კონერი; 15. ფლაიერი; 18. პლაზმა; 20. იუმორი; 22. პრიმატორი; 23. მკათათვე; 24. კვარიათი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3770

ევრო — 4.1213

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7832

100 რუსული რუბლი — 4.5801

ამინდის პროგნოზი 20 მაისისათვის

კეინი შესაძლოა მანჩესტერ სიტიში გადავიდეს



ტოტენჰემის ცენტრალური თავდამსხმელი ჰარი კეინი შესაძლოა ზაფხულში სხვა გუნდში ვიხილოთ, რადგან მას გუნდის დატოვება სურს. თვითონ კეინს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია და ყველაზე მეტად მის სახელს მანჩესტერ სიტის უკავშირებენ, რომელიც ამჟამად ახალი ფორვარდის ძიებაშია.

კეინს ტოტენჰემში ტიტულების მოგების ნაკლები შანსი აქვს და მას წასვლა სწორედ ამის გამო სურს.

კუმანი დიდი ალბათობით ბარსელონას დატოვებს

ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ განაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს გუნდის მომავალთან დაკავშირებით. ლაპორტამ დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა, მაგრამ დიდი ალბათობით ეს სწორედ კუმანს ეხება, რადგან ლაპორტას თქმით, ცვლილებების დროა.

სეზონის ბოლო ეტაპი ბარსელონამ ცუდად ჩაატარა და მან ბევრი მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა.

ბარსელონა ჟოაო ფელიქსით დაინტერესდა



ბარსელონა მადრიდის ატლეტიკოს პორტუგალიელი ნახევარმცველით ჟოაო ფელიქსით დაინტერესდა და შესაძლოა ბარსელონამ ის ატლეტიკოს გრიზმანში გაუცვალოს. ამ შემთხვევაში ბარსელონას შედარებით ნაკლები თანხის გადახდა დასჭირდება, თუმცა ატლეტიკოს ხელმძღვანელობა ამ ინფორმაციას უარყოფს.

ფელიქსი ესპანეთის ჩემპიონატში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალმა ყოფილი შეყვარებულის ცრუ დასაფლავება მისი საყვარლის მოსატყუებლად მოაწყო

ქალმა ცრუ დასაფლავება მოუწყო ციხეში მჯდომ თავის ყოფილ შეყვარებულს იმისთვის, რომ მისი საყვარელი მოეტყუებინა. ამის შესახებ მან ტიკტოკში საკუთარ გვერდზე ისაუბრა.

სოციალური ქსელის მომხმარებელმა, სახელად ლავრიჯმა, ბავშვის დაბადების შემდეგ აღმოაჩინა, რომ შეყვარებული მისი ფეხმძიმობის დროს მეგობართან ღალატობდა. ამ მოვლენებიდან მცირე დროში მამაკაცმა თავი ციხეში ამოყო.

საყვარელი მას შეტყობინებებს უგზავნიდა და ვერ ხვდებოდა, თუ რატომ არ იღებდა მისგან პასუხებს. იმ მაგივრად, რომ მეტოქისთვის სიმართლე ეთქვა, სინამდვილეში სად იმყოფებოდა მამაკაცი, ლავრიჯმა მას განუცხადა, რომ ის მოკვდა.

ქალმა შეყვარებულის დის დახმარებით ცრუ დასაფლავება მოაწყო. სამგლოვიარო ცერემონიის რამდენიმე ფოტოსურათი მან შეყვარებულის საყვარელს გაუგზავნა.

– მას შემდეგ სამი წელი გავიდა და ის დღემდე ფიქრობს, რომ ის მკვდარია, – განაცხადა ქალმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ ყოველ წელს აქვეყნებს ფეისბუქში საკუთარ გვერდზე სტატიას, რომელშიც მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შეყვარებულის გარდაცვალების მომენტში მის გვერდით არ იმყოფებოდა და ამიტომ მისი გადარჩენა ვერ შეძლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 მაისისათვის

ვერძი – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. დაგეგმილი დასვენების გადადება მოგიწევთ. **კურო** – მეტისმეტი გულახდილობა საქმეს გააფუჭებს. ინტერესი გიღვივდებათ მისტიკისა და ფილოსოფიისადმი. **ტყუპები** – თქვენი ექსცენტრულობა, საღი აზროვნება გარშემომყოფებს გააოცებს. უსაფუძვლო თავდაჯერებულობა ჩიხში შეგიყვანთ. **კირჩხიბი** – საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ, თორემ ნავაჭრით ძალზე უკმაყოფილო დარჩებით. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ლომი** – ემოციებს ნუ აჰყვებით. მოითმინეთ და მიუტევეთ. დღეს, შესაძლოა, სხვისი შეცდომების გამოსწორება მოგიხდეთ. **ქალწული** – ჰარმონიული, მშვიდი დღეა. თავს ნუ გადაიღლით. დაისვენეთ ერთგული მეგობრების გარემოცვაში. **სასწორი** – მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. იკითხეთ სასულიერო ლიტერატურა. **ღრიანკალი** – თუ გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ, გულის კარნახს დაეყრდენით. სხვის რჩევებს ნუ გაითვალისწინებთ. **მშვილდოსანი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, თუმცა ვარსკვლავები კომპრომისზე წასვლას მაინც გირჩევენ. **თხის რქა** – წარმატების შანსი იზრდება. წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა შეცდომის დაშვებას თავიდან აგარიდებთ. **მერწყული** – ფინანსები გეზრდებათ. შემოსავლის ახალ წყაროს მიაგნებთ. გელით რომანტიკული ვახშამი. **თევზები** – აქტიური და დაძაბული დღეა. ნებისმიერი საქმე ფანტაზიასა და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალი კაცს ეკითხება:
– სვამ?
– არა.
– ეწევი?
– არა.
– ქალებში დადიხარ?
– არა.
– ნუთუ არანაირი მინუსი არ გაქვს?
– ერთი მინუსი მაქვს, ბევრს ვიტყუები.

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– ფსიქიატრთან იყავი?
– კი.
– მერე, რა გითხრა?
– მითხრა, რომ ფსიქიკური დაავადებები არ მაქვს, უბრალოდ, მხიარული სულელი ვარ.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:
– როდესაც დამინახე და გამიცანი, ვინ გირჩია ჩემი ცოლად შერთვა?
– რა ვიცი, მტრების მეტი რა მყავს...

•••

პოლიციის განყოფილებაში მამაკაცი შეიჭრება და მორიგე პოლიციელს ეუბნება:
– სასწრაფოდ დამაპატიმრეთ!
– რისთვის?
– ცოლს ტაფა ვესროლე...
– რა, მოკვდა?
– არა, მომდევს.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– არ გაბედო ჩემ საწინააღმდეგო აზრზე ყოფნა.
– ძვირფასო, ხომ ხედავ, ხმას არ ვიღებ, ჩუმად ვარ.
– მაშინ სახიდან ეგ გამომეტყველება მოიშორე!

•••

გოგო ბიჭს ეუბნება:
– იცი, შენგან ფეხმძიმედ ვარ.
– როგორ? ჯერ ხომ სექსი არც კი გვქონია?
– თავადაც გაოგნებული ვარ!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსუდან მუმლაძე: „გამგებმა გაიგოს!“

მუსიკოსი და მომღერალი რუსუდან მუმლაძე „ფარულ კონვერტში“ მონაწილეობის შემდეგ კიდევ უფრო მეტად მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მარინა ბერიძის ყოფილი მეუღლის, მუსიკოს ზურა ლალიაშვილის ამჟამინდელი მეუღლე საზოგადოების ნაწილმა გააკრიტიკა, ნაწილმა კი მის მიმართ სითბო გამოხატა.

რუსუდან მუმლაძე:

– ჯერ არ ვაპირებდი ამის გამოქვეყნებას, ველოდებოდი, ვინ რა დოზით აიხევდა სახეს! თუმცა დროულია! გამგებმა გაიგოს!

მე არ მინახავს, თუმცა, რა თქმა უნდა, მოდის ინფორმაციები ჩემამდე. ნუუ, გადაცემის შემდეგ რომ ნოკაუტში ჩავარდნენ, გასაგებია. თანაც, თურმე ისეთებიც, ვინც საკუთარ უახლოეს მეგობარს, 3 მცირეწლოვანი ბავშვის 25 წლის დედას, ქმარი ლამის „ნათლობიდან“ აართვა და ახლა მისგან შვილს ელოდება. თურმე, კიდევ ყოფილან ბევრი „იქ“ ასეთები!

სხვათა შორის, მარინა ჩემი დაქალი არასოდეს ყოფილა.

ჩემი შერყევა და დაღლა იოლი არ არის! მტერი ვერას დამაკლებს! შინაგანად საკმაოდ ძლიერი ვარ! რაც მეტს ილანძღებით, მეტ სტიმულს მაძლევთ, კიდევ უფრო მეტად ავხადო ფარდა სიმართლეს, რომელსაც ჯერ კულუარულად ვინახავ, ვიდრე გადაცემაში მოისმინეთ! თუ რატომ და რისთვის მოხდა ეს ამბავი... მით უარესი იქნება თქვენთვის და უკეთესი ჩემთვის!

ასე რომ, სანამ დროა დაოკდით! პ.ს. ჩემს მეგობრებს და კეთილს მსურველებს კი გეტყვით: მეჯავრება მსგავსი განცხადებები, თუმცა მომიწია... მე მაპატიეთ.

რობერტ გოგოლაშვილის მონოგრაფია გამოიცემა

სულ მალე ფონდი „ქართული გალობა“ გამოსცემს ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის რობერტ გოგოლაშვილისადმი მიძღვნილ კრებულს. მონოგრაფიის ავტორია მარინა კვიჟინაძე:

– დიდი სიხარულით გაცნობებთ, რომ გამოსაცემად მზადდება მე-7 მონოგრაფია სერიიდან „ქართული სიმღერის მოამაგენი“. ფონდი სერიას გამოსცემს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან ერთად.

მონოგრაფიაში ასახულია მრავალი ანსამბლის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, ქართული ხალხური სიმღერა-გალობის უბადლო მცოდნის, ლოტბარისა და მომღერლის – რობერტ გოგოლაშვილის ცხოვრება და შემოქმედება.

ფონდმა ქართული სიმღერის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის 2013 წელს რობერტ გოგოლაშვილს ქართული ხალხური სიმღერის მოამაგის საპატიო წოდება მიანიჭა, ნათქვამია ფონდის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ნანი ბრეგვაძის 85 წლის იუბილე სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება

ქართული ესტრადის დედოფლის ნანი ბრეგვაძის 85 წლის იუბილე სხვადასხვა ღონისძიებებით მთელი წლის მანძილზე აღინიშნება.

ინფორმაცია ამის შესახებ კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დათო ოქიტაშვილმა გააკეთა:

– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები ქართული ესტრადის ლეგენდის, ქალბატონი ნანი ბრეგვაძის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებს უერთდებიან.

ლეგენდარული ქართველი ლირიკული საესტრადო მომღერლის, ნანი ბრეგვაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები მიმდინარე წლის 21 ივლისიდან დაიწყება და წლის ბოლომდე გასტანს. ღონისძიებების ორგანიზატორი საქართველოს კულტურის პალატაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ეროვნული გალერეა მხატვრებისთვის იხსნება

ეს განცხადება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა. მან შეკრებილ საზოგადოებას ორი მთავარი სიახლე გააცნო:

– 1. ეროვნული გალერეა (ე.წ. ცისფერი გალერეა) იხსნება მხატვრებისათვის.

საქართველოს კულტურის მინისტრმა ეროვნული გალერეიდან მხატვრებს მიმართა და აცნობა, რომ მათი მრავალწლიანი თხოვნა დაკმაყოფილებულია და ე.წ. ცისფერი გალერეა მხატვრებს უბრუნდება.

გალერეაში კვლავ იქნება შესაძლებელი როგორც ცნობილი მხატვრების, ასევე ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრების გამოფენების მოწყობა. სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას 2021 წლის საგამოფენო კალენდარი ეროვნული მუზეუმის მიერ უკვე შევსებული დახვდა, რაც ბუნებრივია. მიუხედავად ამისა, ახლად შექმნილი სამინისტროს ძალისხმევით, 2021 წლის გეგმაში ცნობილი მხატვრის ილია პატაშურის გამოფენის შეტანა მაინც მოხერხდა და ის მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება მხატვრის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად.

2022 წლის კალენდარზე მუშაობა კი, მინისტრის განცხადებით, დღეიდანვე დაიწყება და მხატვართა გამოფენების კალენდრის შედგენის მთავარი პრინციპი ღიაობა და გამჭვირვალობა იქნება.

მოცემულ საკითხზე სამინისტროში ხელოვნებათმცოდნეებისგან დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი იმუშავებს, რათა გადაწყვეტილებები იყოს კვალიფიციური, ობიექტური და მეტად დასაბუთებული.

2. სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იწყებენ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენის პროცესში მონაწილეობას.

მინისტრმა საზოგადოებას შეახსენა, რომ 20 აპრილს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამართულ ბრიფინგზე მან ამ მუზეუმის აღდგენა დააანონსა. 18

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ძველი ფრანგული ტომი; 2. ოპერა „ფაუსტის“ ოპერის კომპოზიტორი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 8. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 9. ქალაქი იმერეთში; 12. დაუდუღარი ყურძნის წვენი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

თარაზულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 6. რთულის შეცვლა მარტივით; 7. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. კომბინაცია პოკერში; 10. ყურძნის არაყი; 11. მადრიდის „რეალში“ მოთამაშე ფრანგი ფეხბურთელი; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 15. მოხეტიალე ცირკი; 17. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 18. ქართული მინერალური წყალი; 19. ნიდერლანდების ფეხბურთელთა გუნდი; 20. ახალი წლის სახელწოდება გურიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა